

სამართალდამცველებს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ
A3



საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ!
A5



რამდენი გუნდი ჯობს?
A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 2 ივლისი, 2005 წელი. №148 (1008) | ფასი 50 თეთრი

# ჩხუბში "გაპარული" კანონი

"თბილისის შესახებ" კანონის მესამე მოსმენით მიღებას სულ ოთხი წუთი დასჭირდა



*პარლამენტის სხდომა პირველივე წუთებიდან აურზაურითა და დაძაბულობით დაიწყო.*

გიორგი ასანიშვილი

*30 ივნისს რუსთაველის გამზირზე დაწყებული აყალმაყალი გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაგრძელდა. ასეთი მასშტაბური აურზაური საკანონმდებლო ორგანოში ბოლოს 2003 წლის 22 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" გამარჯვების წინა დღეს მოხდა.*

გუშინ პარლამენტში მოვლენები ასეთი თანმიმდევრობით განვითარდა: რიგგარეშე სესიის სხდომის გახსნისთანავე, მიკროფონთან მიდის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, რომელიც, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების შეფასებისას, რუსეთის კვალზე იწყებს საუბარს და ქუჩის გადაკეტვის აღკვეთისათვის სამართალდამცავებს მადლობას უხდის.

**"არანაირი ტიტული და დამსახურება არ იძლევა ყაჩაღობის ლიცენზიას და ეს ჩვენი ფრაქციის მაგალითზე დავამტკიცეთ, როდესაც დეპუტატი გია კენჭაძე ქრთამის აღებისთვის ვამხილეთ,"** - აცხადებს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

თარგამაძის შემდეგ, კენჭაძის "თემას" "კონსერვატორების" ლიდერი კობა დავითაშვილი აგრძელებს, რომლის მტკიცებითაც, "ნაციონალი" დეპუტატი მაშინ დააკავეს, როდესაც ვანო მერაბიშვილთან 100 ათასი დოლარი მიჰქონდა.

**"კენჭაძეს კანცელარიაში შესვლა არ აცალეს, რათა ზედა სართულებზე არ ასულიყო,"** - აღნიშნავს კობა დავითაშვილი, რომელიც იქვე დასძენს, რომ სპორტსმენების საპროტესტო აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა მინისტრმა უფლებამოსილებას გადააჭარბა და ამისთვის მან პასუხი უნდა აგოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# განსხვავებულთა დროებითი ერთობა

ახალი და ძველი სახეები ოპოზიციის აქციაზე

*გუშინ ვერის პარკში შეკრებილ ოპოზიციურ სპექტრს პრეზიდენტ სააკაშვილის კომენტარი მოსმენილი რომ ჰქონოდა, მათი თავყრილობა გაცილებით მწარესიტყვიანი და გესლიანი იქნებოდა, მაგრამ საპროტესტო მიტინგი და პრეზიდენტის კომენტარი ერთმანეთს დროში დაემთხვა და ოპოზიციონერებმა უკვე მიტინგის დასრულების შემდეგ შეიტყვეს, რამდენად კმაყოფილი იყო პრეზიდენტი სააკაშვილი ორი დღის წინ რუსთაველის გამზირზე პოლიციელთა ქმედებებით.*

თამარ მჭედლიშვილი

**"თუ მას არ სურს დროზე ადრე გაპანღურება, მიიღოს ჩემი მოკრძალებული რჩევა: სააკაშვილი მერაბიშვილის გარეშე,"** - რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის ამ სიტყვებმა ვერის პარკში შეკრებილი საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ვანო მერაბიშვილი, გიგა ბოკერია, გიორგი არველაძე და თავად საქართველოს

გაგრძელება A3 გვერდზე

# არასამთავრობოები ხელისუფლებას დაგვიანებას საყვედურობენ

ვერიკო თევზაძე

**"შეშფოთებული ვარ 30 ივნისის მოვლენათა ამგვარი განვითარებით. საწყის ეტაპზე შეინიშნებოდა აბსოლუტური უსუსურობა ხელისუფლებისა, როცა უზენაეს სასამართლოს დარბევას და შეურაცხყოფას ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლია. მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დამრბევებთან. ეს არის შეუწყნარებელი ქმედება, რომელმაც კანონდამრღვევები შემდგომი ძალადობისკენ წააქეზა,"** - ამგვარი პოზიცია გამოხატა "თავისუფლების ინსტიტუტის"

გაგრძელება A3 გვერდზე



*არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნეს რუსთაველზე მომხდარი არეულობის შეფასებას.*

# სასამართლოს სუბიექტური გადაწყვეტილება - არც კანონიერი, არც უკანონო

სოფიკო ჩხაიძე

*ყვარყვარეს ციხე - საქართველოში არსებულ საპყრობილეებს ეს მეტსახელი, შეიძლება ითქვას, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ შეარქვეს. მიზეზი ნათელია - ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული მართლმსაჯულება იშვიათად თუ გადაუხვევს ხოლმე სამართალდამცველთა ნებას და, თითქმის გამონაკლისების გარეშე, პატიმრობისთვის წირავს მათ, ვისი დაპატიმრებაც ბრალდების მხარეს აქვს გადაწყვეტილი.*

მსჯელობა სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებების კანონიერება-უკანონობის თემაზე გუშინწინ, გამოძალვაში ბრალდებული მოჭიდავეებისთვის აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ არ დაწყებულა. ამ პრობლემაზე მსჯელობა საქართველოს არასამთავრობო სექტორში გაცილებით ადრე წამოიწყეს და არც არის გასაკვირი. ამა თუ იმ დანაშაულის გამოძიების პროცესში ბრალდებულის დაპატიმრება განსაკუთრებული ღონისძიებაა, რომლის შეფარდების ნორმებსაც მკაცრად განსაზღვრავს, უფრო სწორად, უნდა განსაზღვრავდეს საპროცესო კანონმდებლობა.

ძნელია, ცალსახად გამოუტანო კანონიერება-უკანონობის განაჩენი მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ქართველ სპორტსმენებს, გიორგი რევაზიშვილსა და ალექსი დავითაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა არგუნეს, და რომელიც მასობრივი არეულობის აგორების და პოლიტიკური კონფრონტაციის დაწყების საფუძვლად იქცა. საპროცესო კოდექსის რიგი მუხლების თანახმად, ისინი სწორედაც რომ პატიმრობაში უნდა დაეტოვებინათ. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, **"აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ანდა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას."** მიუხედავად იმისა, რომ როგორც მოჭიდავეების ადვოკატი აცხადებს, გამოძიების მიერ სასამართლოში წარდგენილ, ბრალდებულთა დაპატიმრების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობაში არათუ დასაბუთებული, არამედ დაპატიმრების აუცილებლობის არც ერთი არგუმენტი არ იყო მოყვანილი, ხოლო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ზედმიწევნით

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | 2/07 | 3 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 36 |
| ტყიბული | 32 | 34 |
| სოხუმი | 32 | 33 |
| დმანისი | 27 | 28 |
| გორი | 31 | 32 |
| ონი | 27 | 26 |
| ზუგდიდი | 35 | 38 |
| ახმეტა | 34 | 35 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# პრეზიდენტი წარმატებული მუშაობისთვის შს მინისტრს და თბილისის პოლიციის უფროსს მადლობას უცხადებს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხუთშაბათს ღამით რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტს სამარცხვინოს უწოდებს, ხოლო წარმატებული მუშაობისთვის შს მინისტრს და თბილისის პოლიციის უფროსს მადლობას უცხადებს.

როგორც პარასკევს ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, "ჯღანას" დასაცავად ატეხილი ჩხუბი ყველაზე კომიკური იყო და არც პოლიტიკოსებმა უნდა აკადრონ ერთმანეთს სამარცხვინო სიტყვები.

"ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს. კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს. საქართველოში იქნება კანონის უზენაესობა და აღარ იქნებიან ხელშეუხებელი ბანდიტები", -თქვა პრეზიდენტმა.

რაც შეეხება ქართულ პოლიციას, სააკაშვილის თქმით, ის პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე სამაგალითო, არაკორუმპირებული და ქმედითია და "ვინც ამას ვერ ხედავს ან მართლა ბეცია, ან კრიმინალებთან არის შეკრული."

*პრაიმ-ნიუსი*

# სასამართლომ ტრადიციას არ უღალატა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დღეს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შვიდ მაღალჩინოსანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის კონტროლის უფროსს თენგიზ გაბელიას, ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეს გიორგი კიკალიშვილს, ლევან ნიკოლეიშვილს, ლევან მაღრაძეს, და სხვა თანამდებობის პირებს (ლელოშვილს, ჩხიკვაძეს, ხვედელიანს) ბრალი ქრთამის გამოძალვის მუხლით წაუყენეს.

გუშინწინ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მილერი ხარებავა საგადასახადო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების საქმეს 5 საათის განმავლობაში განიხილავდა. პროცესს ყველა განსასჯელი ესწრებოდა. გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრება თბილისის საოლქო სასამართლოში 48 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, 28 ივნისს შსს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვის ბრალდებით საგადასახადო დეპარტამენტის შვიდი თანამშრომელი დააკავეს. ოფიციალური ინფორმაციით, მათ ერთ-ერთი მეწარმისგან, ქრთამის სახით, 150 000 ლარი აიღეს.

*ინტერპრესნიუსი*

# ქართულ-უკრაინული კულტურული ვოიაჟი

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველი კოლეგით, ვარძიითა და დედათა მონასტერში გასინჯული კალმახით მოხიბლულია

სოფო ბუკია

ვარძიაში სტუმრობა სალომე ზურაბიშვილის იდეა იყო. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებით, უკრაინული დელეგაციის წევრებითა და რამდენიმე ჟურნალისტით გავსებული ვერტმფრენი თბილისის აეროპორტიდან დილის რვა საათზე აფრინდა. ვერტმფრენის ძრავის ზუზუნში საუბარი ფუჭი მცდელობა იქნებოდა, ამიტომ მინისტრები, უბრალოდ, ხედებით ტკბებოდნენ. ტარასიუკი მთელი გზის განმავლობაში მობილური ტელეფონით ფოტოებსაც იღებდა.

კლდეში ნაკვეთ ქალაქს უკრაინული დელეგაცია საათნახევრის განმავლობაში ათვალიერებდა. სალომე ზურაბიშვილის უკრაინელი კოლეგა გულმოდგინედ ისმენდა ვარძიელ მამათა მონათხრობს სამონასტრო კომპლექსის ისტორიაზე.

**"გულწრფელად მოხიბლული ვარ იმით, რაც ვნახე. დიდი მადლობა ქალბატონ სალომეს, რომ ასეთ ადგილას მომიყვანა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია და ვთვლი, რომ ჩემი მეგობარია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ ქართველი ერის ყველაზე დიდ სიწმინდეებს ვეზიარეთ,"** - ამბობდა უკრაინელი სტუმარი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველოდან თურქეთში დენის ექსპორტი იწყება

საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი 3 ივლისს, საღამოს 12 საათისთვის იგეგმება. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, როგორც კი კომპანია "საქრუსენერგოს" კუთვნილი მაღალი ძაბვის 220 კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი "აჭარა" მზად იქნება, ექსპორტი მაშინვე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ელექტროგადამცემი ხაზი "აჭარა" დიდი ბათუმისა და ხოფას ქვესადგურებს ერთმანეთთან აკავშირებს და დენის ექსპორტიც სწორედ მისი საშუალებით განხორციელდება. კომპანია "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის შოთა მაისურაძის ინფორმაციით, ხაზზე მიმდინარე პროფილაქტიკური სამუშაოები ორ დღეში დასრულდება.

როგორც ხეთაგურმა განაცხადა, თურქეთში ექსპორტი 70-80 მეგავატის ოდენობით განხორციელდება და სექტემბრის თვემდე გაგრძელდება.

დენის გაცვლა თურქეთ-საქართველოს შორის ბარტერული პრინციპით მოხდება - დეკემბერში, როცა საქართველოში ენერგოდეფიციტია, თურქეთიდან საქართველოში იმავე რაოდენობის დენის იმპორტი განხორციელდება. მიღწეული შეთანხმებით, ყოველი მიწოდებული 1,2 კილოვატსაათი დენის სანაცვლოდ საქართველო 1 კილოვატსაათს მიიღებს.

სავარაუდოდ, საქართველო თურქეთიდან მურათლის ჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მიიღებს.

*24 საათი*

# საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია - ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ქუთაისის მომსახურების ცენტრი ქალაქში არსებული, არალეგალურად გადაყვანილი ხაზების ჩაჭრისა და ძირითადი ქსელის მოწესრიგების სამუშაოებს აგრძელებს.

**"არალეგალურ ხაზებს შეიძლება კორუფციული ვუწოდოთ, რადგან ამ ხაზებით ფული არალეგალურად კეთდებოდა. თუ ხაზების ჩაჭრის შემდეგ, არალეგალური მოხმარების შემთხვევები კიდევ დაფიქსირდება, ეს ფაქტები აღიკვეთება და მოხდება სამართლებრივი რეაგირება,"** - განაცხადა სგსე ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აზრით, ეს ენერგოკომპანიას საშუალებას მისცემს, ელექტროენერგიის ხარჯი ცალკეულ უბნებში, მთელი ქალაქის მასშტაბით გააკონტროლოს. მათივე ინფორმაციით, ნომინალური სქემის აღდგენის შემდეგ ქუთაისის მომსახურების ცენტრი ქსელის სარეაბილიტაციოდ მასშტაბურ სამუშაოებს დაიწყებს.

ენერგოკომპანიის განცხადებით, ელექტროქსელთან არალეგალურად ნებისმიერი მიერთება აღქმული იქნება, როგორც ელექტროენერგიის დატაცება და ასეთი აბონენტების მიმართ კანონით მიღებული საჯარიმო სანქციები გატარდება. კერძოდ, 600 ლარით დაჯარიმდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც პირველად იქნებიან მხილებულნი ელექტროენერგიის დატაცებაში. იურიდიული პირებისთვის ჯარიმა 5 000 ლარით განისაზღვრა. ფიზიკური პირების მიერ განმეორებით ჩადენილი ანალოგიური ქმედებისთვის ჯარიმა 1 200 ლარამდე გაიზრდება, ხოლო იურიდიული პირები კი 15 000 ლარით დაჯარიმდებიან.

ასევე, სგსე-ს ქვემო ქართლის ფილიალის ადმინისტრაცია ურჩგადამხდელთა წინააღმდეგ რადიკალური ზომების გატარებას იწყებს. კერძოდ, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა სოფელ სართიჭალას, დაბა კაზრეთსა და მის მიმდებარე სოფელ ბალიჭს.

ქვემო ქართლის ფილიალის დირექტორის ირაკლი ელაშვილის განცხადებით, სოფელ სართიჭალაში, სადაც 3 500 აბონენტია, ელექტროენერგია მანამ არ ჩაირთვება, ვიდრე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სამართალდამცავი სტრუქტურებიდან არ იქნება მყარი გარანტიები - გადაუხდელობის გამო გათიშული ტრანსფორმატორების თვითნებური ჩართვების პრეცედენტთა აღკვეთასთან დაკავშირებით.

ირაკლი ელაშვილის თქმით, ფილიალის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ქვესადგური "სართიჭალა" ქვესადგურ "სამგორიდან" გათიშულიყო, ვინაიდან ბოლო პერიოდში საგრძნობლად გახშირდა თვითნებური ჩართვებისა და ქვესადგურში შევარდნის ფაქტები, რაც გასულ კვირასაც დაფიქსირდა.

ფილიალის ხელმძღვანელობა მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ურჩგადამხდელთა წინააღმდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებული უმკაცრესი სანქციების გატარება კვლავაც გაგრძელდება, რისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მაქსიმალური მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

*24 საათი*

# მსოფლიო ბანკის კრედიტის ნაწილი ჟინვალჰესსაც მოხმარდება

*სახელმწიფო მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ბანკის კრედიტის ნაწილი წყალდიდობის შედეგად დაზიანებულ, ჟინვალჰესის ნაგებობების რეაბილიტაციისთვისაც დაიხარჯება. ზარალისა და თანხის ზუსტ ოდენობას მსოფლიო ბანკისა და ქართული საპროექტო ინსტიტუტის ექსპერტები რამდენიმე დღეში დაადგენენ. სავარაუდოდ, საუბარი 16 მილიონ ლარზეა.*

ნანა ქადაგიშვილი

კოკისპირული წვიმებისა და წყალდიდობების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა არაგვის ხეობის წყალსადენებისა და ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის ნაგებობა და კომუნიკაციები, რის გამოც, ჭოპორტი-მისაქციელი, ბულაჩაურის, მუხიანისა და არაგვის აქტიური კალაპოტის წყალსადენები ნაწილობრივ გამოირთო. ამიტომაც გადაწყდა, რომ მსოფლიო ბანკის კრედიტის ნაწილი ჟინვალჰესის ნაგებობების რეაბილიტაციას მოხმარდეს. "წყალკანალისა" და "ჟინვალჰესის" ხელმძღვანელობის ვარაუდით, სარემონტო სამუშაოები 16 მილიონ ლარამდე დაჯდება. თუმცა, როგორც "წყალკანალის" გენერალური დირექტორი იუზა ცარციძე აცხადებს, ეს მხოლოდ საორიენტაციო თანხაა. **"ზარალის ზუსტი ოდენობა წყლის დონის დაწევის შემდეგ უფრო იოლად დადგინდება. მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა ჟინვალჰესი და წყალსადენი კომპლექსურად უკვე დაათვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მართლაც სასწრაფოდ არის ჩასატარებელი. ამ დღეებში ისინი დასკვნას დაწერენ, რის შემდეგაც სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაც გაკეთდება. მათ გარდა, წყალდიდობისგან მოყენებული ზარალის ოდენობის დასადგენად ქართული საპროექტო ინსტიტუტებიც მუშაობენ,"** - აცხადებს ცარციძე.

თუმცა, სასწრაფოდ ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები საპროექტო სამუშოების დასრულებამდე დაიწყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისის წყალმომარაგების აღდგენა ვერ მოხერხდებოდა. ორი დღის წინ "წყალკანალმა" 1 300 მეტრის სიგრძის მილსადენი გაარემონტა, რის შედეგადაც გუშინდელი დღიდან თბილისის მოსახლეობას წყალი შეუზღუდავად მიეწოდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი კი, საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ივლისიდანვე დაიწყება. როგორც არაგვის ხეობის წყალსადენის სამსახურის უფროსი გია მაღრაძე მსოფლიო ბანკის ექსპერტების გათვლებზე დაყრდნობით აცხადებს, ამ სამუშაოების შესრულებაზე გამარტივებული ტენდერი გამოცხადდება, რათა ჰესისა და წყალსადენის რეაბილიტაცია არ შეფერხდეს. მესამე ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოების ჩატარება კი, როგორც მსოფლიო ბანკის ექსპერტები მიიჩნევენ, უკვე ასეთი სასწრაფო აღარ არის. თუმცა, მისი დასრულება წყლის დონის მომატებამდე უნდა მოესწროს.

# ეროვნული ბანკი ახალ საბუღალტრო სისტემაზე გადასვლას გეგმავს

ეროვნულ ბანკში "ახალი საბუღალტრო სისტემისათვის ფუნქციური უზრუნველყოფის შემმუშავებელი ჯგუფი" შეიქმნა, რომელიც თანამედროვე, ოპტიმალურ საბუღალტრო პროგრამას დანერგავს.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის გიორგი ღლონტის ინფორმაციით, ეროვნული ბანკი ახალი საბუღალტრო პროგრამის შეძენასა და დანერგვას გეგმავს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან საბუღალტრო აღრიცხვის, შიდა აუდიტის, არასახელმწიფო საპენსიო სქემის მართვის სამსახურის, საგადამხდელო სისტემების, საოპერაციო და სავალუტო სამმართველოების თანამშრომლები.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ჯგუფი ჩამოაყალიბებს ახალი საბუღალტრო პროგრამის მოთხოვნებს და, პარალელურად, მსოფლიოში აპრობირებულ საბანკო პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებს შეისწავლის. **"მათი შეჯერების შემდეგ, ეროვნულ ბანკში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საბუღალტრო სისტემა დაინერგება,"** - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

ცნობისათვის, ამჟამად ეროვნული ბანკი საბუღალტრო საქმიანობას ბანკის თანამშრომელთა მიერ 1994 წელს შემუშავებული და დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფით ახორციელებს.

*24 საათი*

# დავით ტატიშვილის გატაცებაში ბრალდებული პატიმრობაში დატოვეს

ულტრასონოგრაფიის ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს დავით ტატიშვილის გატაცებაში ბრალდებული შოთა გოგიბერიძე თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის, ომარ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, წინასწარ პატიმრობაში დარჩა.

მასთან ერთად დაკავებულ ლევან ჯიბლაშვილისა და ლევან ფირცხალავას საკითხი დღეს საოლქო სასამართლოში არ განხილულა, ვინაიდან მათ ადვოკატებს აღმკვეთი ღონისძიების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ ჰქონდათ.

შეგახსენებთ, რომ გამოძიების მასალების თანახმად, ბრალდებულებმა დავით ტატიშვილი თბილისიდან, ყიფშიძის ქუჩიდან, 25 ივნისს, დილის 06.30 საათზე, ავტომანქანა "ნივით" გაიტაცეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გამტაცებელთა დაკავება შემთხვევიდან რამდენიმე წუთში მოახერხეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ქართულ-უკრაინული კულტურული ვოიაჟი

პირველი გვერდიდან

ზემო ვარძიის დედათა მონასტერში უკრაინულ დელეგაციას დედების მიერ მომზადებული უგემრიელესი ტრაპეზი დახვდა. უკრაინელებმა სპეციალურ წყალსაცავში მოშენებული მთის კალმახები ჯერ დააპურეს, შემდეგ კი სუფრასთან მათ გემოც გაუსინჯეს. პირველი სადღეგრძელო უკრაინა-საქართველოს მეგობრობისა შეისვა. სადილზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ორ თვეში ერთხელ უნდა შეხვდნენ. როგორც ქალბატონი სალომე ამბობს, ბატონი ტარასიუკი "არაჩვეულებრივი საგარეო საქმეთა მინისტრი, უბრალოდ, კარგი ადამიანი და უკრაინის დიდი პატრიოტია". **"მას ნებისმიერ საკითხზე შეიძლება მივმართო, მხარდაჭერა ვთხოვო. ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოა ისეთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან მეგობრობა, როგორიც უკრაინაა,"** - ამბობს ქალბატონი სალომე.

საქართველოსთან ურთიერთობებზე საუბრისას, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი აქცენტს ეკონომიკურ საკითხებზე აკეთებს. **"ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მოვხსნათ ის ბარიერები, რაც ორ ქვეყანას შორის თავისუფალ ვაჭრობას უშლის ხელს,"** - აღნიშნავს ტარასიუკი.

მისი თქმით, აქტიურად განიხილება უკრაინიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტის პერსპექტივები, ასევე - უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკადემია მზადაა, ქართველი დიპლომატების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნოს.


*"ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ ქართველი ერის ყველაზე დიდ სიწმინდეებს ვეზიარეთ," - ამბობდა უკრაინელი სტუმარი.*

ბორის ტარასიუკის საქართველოში ვიზიტისას ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შემოდგომაზე კიევში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზეც ისაუბრეს, რომელიც რეგიონში დემოკრატიის გავრცელებას მიეძღვნება. აღნიშნული ინიციატივა ორი ქვეყნის პრეზიდენტებს - მიხეილ სააკაშვილსა და ვიქტორ იუშენკოს ეკუთვნის.

თბილისში უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს ივლისისთვის დაგეგმილ ვიზიტზე ტარასიუკი ღიმილით ამბობს: **"არა, ეს არაოფიციალური ვიზიტია. ჩვენი პრეზიდენტი თავის მეგობართან ჩამოდის."**

თბილისში დაბრუნებამდე ბორის ტარასიუკმა ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, თუ რა ჩაიფიქრა ვარძიის წყაროსთან. **"მე მინდა, რომ საქართველოსა და უკრაინის ყველა მიზანი ასრულდეს,"** - ამბობს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი.

# ოზურგეთი ფერზე მოდის

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

კომუნისტების მმართველობის მიმწუხრის ჟამს, ოზურგეთის სამაზრო ქალაქად გამოცხადების 150 წლის საიუბილეოდ, ოზურგეთის მორთვა-გალამაზებაც იყო გეგმაში, სამუშაოებიც დაიწყო, მაგრამ არ გაგრძელებულა და, ბუნებრივია, არც დასრულებულა. ერთ დროს კოპწია, მწვანეში ჩაფლული ქალაქი, გარეგნულად იმდენად დაძველდა და დაჭუჭყიანდა, მიუჩვეველ და მიჩვეულ თვალზეც კი ერთიორად უსიამოდ მოქმედებდა. ჩამოსვლის პირველივე დღეს გურიის გუბერნატორის ჟანი კალანდაძის პირველი მოთხოვნა ის გახლდათ, რომ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, თავიანთი ადგილსამყოფელის კეთილმოწყობაზე, იერ-სახის განახლებაზე ეზრუნათ. გუბერნატორის მკაცრმა ტონმა ხელშესახები შედეგი გამოიღო - ბევრ შენობას ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, განახლდა აბრები და სარეკლამო დაფები. დღეს კი ქალაქის 7-8 მრავალსართულიანი შენობა ხარაჩოებშია ჩასმული, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ცენტრალურ უბნებში მდებარე სახლების შეღებვა. უკვე სულ სხვა იერი მიეცა კინოთეატრ "ოზურგეთს", თეატრალურ მოედანზე მდებარე კორპუსებს, ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეჯის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის შენობებს.


*ქ. ოზურგეთის განახლებული ხედები.*

ქალაქის ცენტრში კეთილმოეწყო ორი სპორტული კომპლექსი, ექსპლოატაციაში შევიდა ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი. სრულიად გადახალისდა და საამო სანახავი გახდა ამ ცოტა ხნის წინ ყოვლად უსახური, ლამის დანგრევის პირამდე მისული პროკურატურის, პურის საცხობისა და მაღაზიების ქსელის შენობები. ფერთა გამას საგანგებოდ მოწვეული კომისია განსაზღვრავს.

გარემოზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესება იქნებ ერთგვარი მუხტი გახდეს ცხოვრების სხვა მხარეთა გადასხვაფერება-გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება კეთილმოწყობის სამუშაოების ფინანსურ რესურსებს, 30 000 ლარი ოზურგეთის მერიამ გაიღო, 26 000 ლარი კი - ოზურგეთის რაიონულმა გამგეობამ.

# დამატებითი ღირებულების გადასახადი 18-პროცენტიანი განაკვეთით ამოქმედდა

გუშინდელი დღიდან, საგადასახადო კოდექსის ის მუხლი ამოქმედდა, რომელიც დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირებას ითვალისწინებს.

ახალი საგადასახადო კოდექსი 2005 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, თუმცა კოდექსის მიღების დროს მთავრობამ დღგ-ს 18-პროცენტიანი გადასახადის ამოქმედება 2005 წლის 1 იანვრისთვის მოითხოვა. როგორც მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებდა, მთავრობას მთელი რიგი ვალდებულებები ჰქონდა შესასრულებელი, რომლისთვისაც დამატებითი სახსრები იყო საჭირო. აღნიშნული სახსრების მოძიება კი, მინისტრის აზრით, დღგ-ს 18 პროცენტამდე შემცირების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა.

მაშინ ოპოზიცია ფიქრობდა, რომ მთავრობა დღგ-ს 20-პროცენტიან განაკვეთს 2005 წლის პირველი ივლისიდანაც დატოვებდა, თუმცა, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, 2005 წლის მეორე ნახევრის გეგმა დღგ-ს 18-პროცენტიანი განაკვეთის მიხედვით არის დაგეგმილი, ამიტომ ამ კუთხით მთავრობა ცვლილებებს არც გეგმავდა.

როგორც პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირებული განაკვეთი მეწარმეს საგადასახადო ტვირთს შეუმცირებს, თუმცა ეს მისი წარმოებული პროდუქციის გაიაფებას ვერ განაპირობებს. მისივე თქმით, დღგ-ს განაკვეთის შემცირება ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის ძირითადი მაჩვენებელია, თუმცა მისი 7-8 პროცენტით შემცირება გაცილებით ეფექტური იქნებოდა.

*24 საათი*

## მოკლედ

### ედუარდ შევარდნაძე: პრეზიდენტი უნდა შეხვდეს ოპოზიციას

საქართველოს პრეზიდენტი უნდა შეხვდეს ოპოზიციასაც და დაკავებულ ადამიანებსაც, - აცხადებს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

მისი აზრით, ქვეყანაში ნებისმიერ მოვლენაზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, თუმცა არც უწესრიგობა და ქუჩების გადაკეტვაა დასაშვები.

შევარდნაძე ამბობს, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება ხელისუფლების სისუტის გამოვლინებაა: "აქამდე მთავრობამ საქმე არ უნდა მიიყვანოს. ნებისმიერი გართულება დიალოგის ფორმით უნდა მოგვარდეს, მათ შორის, შეურაცხყოფილ და განაწყენებულ ადამიანებთან. როდესაც ხელისუფლება ვერ ამყარებს კონტაქტს თავის ხალხთან, ის ყოველთვის წაგებულ მდგომარეობაში იქნება. ასე იყო ჩემი პრეზიდენტობის დროსაც და ასეა ახლაც."

"პროტესტის გამოხატვის ბევრი ადგილი არსებობს - პარლამენტი, დარბაზები და პარკები. ქუჩის გადაკეტვა მიუღებელია, რადგან რიგითი ადამიანები ზარალდებიან. მე, რა თქმა უნდა, თანავუგრძნობ ოპოზიციას, თუმცა ქუჩის გადაკეტვაში ვერ დავეთანხმები," - თქვა შევარდნაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ. მათ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლიდერთა სამიტის ადგილი და დრო განსაზღვრეს. ამ სამიტში, სერგეი ბაგაფშისა და ედუარდ კოკოითის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ სეპარატისტული დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის ლიდერები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში ფედერალური სტრუქტურა შეიქმნება, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში რეალურ პოლიტიკას გაატარებს. ამის შესახებ, გუშინ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განაცხადა. ალასანიას ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების საბჭო უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას, ფედერალურ დონეზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სამინისტროს შექმნის შესახებ. ალასანია იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოში შემუშავებულ წინადადებებს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა გაიზიარებს. ალასანიამ კატეგორიულად უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფედერალურ დონეზე აფხაზეთის საკითხზე მომუშავე სტრუქტურის შექმნა აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ლეგიტიმურ სტრუქტურებს უფუნქციოდ დატოვებს. მისი თქმით, გავრცელებული ხმები, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დაშლის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამგვარ მიდგომებს არ იზიარებს. მისივე თქმით, ცენტრალურ ხელისუფლებაში ფედერალური სტრუქტურის შექმნის შესახებ აფხაზეთის მთავრობა, ძირითადად, ჯანდაცვის, კულტურისა და განათლების საკითხებით იქნება დაკავებული. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას განცხადებით, უახლოეს ხანებში კოდორის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფი "მონადირე" აღდგება. "მონადირის" გაუქმება შეცდომა იყო," - აცხადებს ალასანია, რომლის თქმით, "მონადირის" აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებას თავდაცვის სამინისტრო მომავალ კვირას მიიღებს. ალასანიას ინფორმაციით, "მონადირეში", სავარაუდოდ, კოდორის ხეობაში მცხოვრები 300-მდე მოქალაქე იქნება დასაქმებული. მისივე ინფორმაციით, 300 მოქალაქე, შერჩევის შემდეგ წვრთნებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფში გაივლის და კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ისინი კოდორის უსაფრთხოებაზე ზრუნვას გააგრძელებენ. **ინტერპრესნიუსი**


# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირის N29-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის ფაკულტეტის" ოფისის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხელშეკრულება N2.2.1/NCB/CW/003.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირის N29-ში მდებარე "საოჯახო მედიცინის ფაკულტეტის" ოფისის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ 2005 წლის 5 ივლისიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელ: (995 32) 33-19-34,
ფაქსი: (995 32) 33-18-39

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს 100 (ასი) ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 16,000 ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელ: (995 32) 33-19-34,
ფაქსი: (995 32) 33-18-39

2005 წლის 4 აგვისტოს 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# განსხვავებულთა დროებითი ერთობა



*რევოლუციის შემდეგ თბილისის საზოგადოებამ პირველად "დააჭაშნიკა" გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგი.*

გუშინ, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ატეხილი აურზაურის შემდეგ, "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ ოპოზიციას მოუწოდა, დაეტოვებინა სხდომათა დარბაზი და საკონსულტაციოდ მის ოთახში შეკრებილიყვნენ.

გამყრელიძის ოთახში შეკრებილ "მემარჯვენე ოპოზიციას", "რესპუბლიკელებსა" და "კონსერვატორებს" "მემარჯვენეების" ლიდერმა განუცხადა, რომ საზოგადოება ძალადობის მსხვერპლია. **"მერაბიშვილის, ადეიშვილის, ოქრუაშვილის ქმედებების შედეგია ეს ძალადობა. არ არსებობს კარგი და ცუდი ხელისუფლება... დღეს უნდა შევასრულოთ საზოგადოების დაკვეთა. ჩემი აზრით, საზოგადოების დაკვეთა ნამდვილად არ არის ძალადობა,"** - განაცხადა გამყრელიძემ და, გაერთიანებული ოპოზიციის სახელით, შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ძნელია მოითხოვო მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და არ ისაუბრო გენერალური პროკურორის, ადეიშვილის და სხვათა პასუხისმგებლობაზე, მაგრამ ჯერჯერობით, ოპოზიცია მხოლოდ მერაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვსო.

საპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლების ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი მოძრაობის დაწყების შესახებ გამოაცხადა, რის შემდეგაც საზოგადოებას "ვერის ბაღში" შეკრებისკენ მოუწოდა. ოპოზიციის ეს გადაწყვეტილება "კონსერვატორმა" კობა დავითაშვილმა საპარლამენტო ოპოზიციური ძალების კონსულტაციების შემდეგ გააკეთა და დასძინა, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალადობის შეჩერება დღესდღეობით მხოლოდ საზოგადოებას შეუძლია.

**"ძალადობაა, როცა ხალხს თავისუფალი აზრის გამოთქმას უკრძალავენ. ხელისუფლება ძალადობს პრესაზე, ძალადობს ქუჩაში და ძალადობს პარლამენტში,"** - აღნიშნა დავითაშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში ტოტალური ძალადობა და დიქტატურა არ უნდა დამყარდეს და ამას ხელი სწორედ ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა შეუშალონ, ყველანაირი კონსტიტუციური მეთოდის გამოყენებით.

*თამარ მაისურაძე*

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი - ეს ის პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ, რომელთა მისამართით ოპოზიციას და მათ გულშემატკივრებს გუშინ "ტკბილი სიტყვები" არ დაუშურებიათ. **"გიგა ბოკერია - კრიმინალი, გიორგი არველაძე - გაუნათლებელი, ერთუჯრედიანი ამება, ხოლო სააკაშვილი - მაროკოში მოგრიალე, ღამის კლუბებში და საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებებში მოსიარულე პრეზიდენტი,"** - ასე მოიხსენიებდნენ გამომსვლელები დღევანდელი პოლიტიკური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

საერთოდ, ოპოზიციის მიტინგი გუშინ ორთქლის გამოშვებას ჰგავდა უფრო, ვიდრე შეთანხმებულ, დეტალებში გათვლილ პოლიტიკურ საპროტესტო აქციას.

მიტინგის მთავარი ორგანიზატორის, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის გამოსვლა აშკარად დაჯაბნა შალვა ნათელაშვილის "ტრიუმფალურმა სვლამ", რომელიც მიტინგზე დაგვიანებით და დაცვის კოჰორტით გამოჩნდა. როგორც ჩანს, ვერის პარკში შეკრებილი საზოგადოების ნაწილისათვის იგი კვლავ კუმირად რჩება, რადგან არც ერთ პოლიტიკოსს პუბლიკა ასეთი ოვაციით არ შეხვედრია.

თავად ნათელაშვილი, რომელსაც კარგა ხანია, ასეთი ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა არ ღირსებია (ვერის პარკში, დაახლოებით, ათასამდე ადამიანი იყო შეკრებილი), "მოწოდების სიმაღლეზე" აღმოჩნდა - სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მსმენელები დააბნია კიდეც, შემდეგ კი, ტატამზე გამარჯვებულის იერით, ამალითურთ და აპლოდისმენტების თანხლებით, ვერის ბაღი მალევე დატოვა. მის გამოსვლაში ახალი თითქმის არაფერი იყო, თუ არ ჩავთვლით იმ ინფორმაციას, რომელიც მან პუბლიკას მიაწოდა - თურმე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი მიხეილ სააკაშვილის მთავარ ლობისტს გაბუტვია და ამიტომ სააკაშვილის დღეები დათვლილი ყოფილა (ვინ იყო ეს ლობისტი და რატომ განურისხებია მას ბუში, ამის თაობაზე ნათელაშვილს არაფერი უთქვამს).

მოკლედ, ოპოზიციამ თავის რისხვას გუშინ გზა მისცა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ოპოზიციურ სპექტრს მოქმედების ერთიანი გეგმა აქვს. თანაც, აშკარაა, რომ ლეიბორისტების, მემარჯვენეების, რესპუბლიკელების და კონსერვატორების ერთიანობა დროებითია - ისინი ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საეჭვოა, ამ საქმიდან რაიმე "გამოდნეს".

ამას რესპუბლიკელი თინა ხიდაშელიც აღიარებს: **"აბსოლუტურად მართალია თქვენი შენიშვნა. ჩემთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, იმ ადამიანებთან გვერდით ვყოფილიყავი, ვისთანაც ურთიერთობა მსიამოვნებს და ვინც ჩემი მეგობარია. ისე, ჩვენ არც ერთი პოლიტიკური ძალის გვერდით არ ვდგავართ. ჩვენ ვართ იმ ხალხის გვერდით, რომელიც გუშინ ძალადობის სურვილის მქონე ხელისუფლების მსხვერპლი აღმოჩნდა. ძალიან სამწუხაროა, როდესაც ასეთი აჟიტირებული საპატრულო პოლიციის უზარმაზარი შემადგენლობა ვერ ახერხებს 30 კაცის ნეიტრალიზაციას სასამართლო დარბაზში და საშუალებას აძლევს ამ ადამიანებს, გადაკეტონ რუსთაველის გამზირი და მოხდეს ის, რაც მოხდა. ეს არის წარმოუდგენელი არაპროფესიონალიზმი, რომლის მოწმენიც ჩვენ გავხდით და რომელიც შემდეგ ასეთ სარიოზულ პრობლემებში გადაიზარდა. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს შეგნებული პროვოკაცია იყო, მაგრამ ფაქტები თავისას მეტყველებს. მე ყოველთვის ვიდექი მათ გვერდით, ვინც იჩაგრებოდა და ვცდილობდი მათ დახმარებას იმის მიუხედავად, ვიზიარებდი თუ არა მათ პოზიციას. რაც შეეხება ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას. ჯერ ამაზე საუბარი, მე მგონი, ნაადრევია. თითოეულმა პოლიტიკურმა ძალამ თავად უნდა შეძლოს ახალ რეალობაში ადგილის დამკვიდრება,"** - განაცხადა ჩვანთან საუბარში თინა ხიდაშელმა.

რაც შეეხება მიტინგზე მისულ საზოგადოებას. ვერის პარკში, ძირითადად, ოპოზიციური პარტიების აქტივისტები სჭარბობდნენ. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლიტიკას უკვე ჩამოშორდნენ...

# "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სამართალდამცველებს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს

*რუსთაველის პროსპექტზე მომხდარი ინციდენტის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციათა მოსაზრება ორად გაიყო. ერთი ნაწილის აზრით, სპორტსმენების მიერ რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვას სამართალდამცველთა სწორი რეაქცია მოჰყვა, საუბარია პიკეტის დაშლაზე. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ძალოვანებმა ძალის დემონსტრირება მოახდინეს, მანიფესტანტების დაშლისას უფლებამოსილებას გადაამეტეს.*




*"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრების აზრით, დაუშვებელია რუსთაველის გამზირზე აყვანილი პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.*

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები გმობენ სპეცდანიშნულების რაზმისა და საპატრულო პოლიციის მიერ ძალის გამოყენების ფაქტს და მიიჩნევენ, რომ დაუშვებელია რუსთაველის გამზირზე აყვანილი პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 226-ე მუხლით - მასობრივი არეულობის ორგანიზება.

ანა დოლიძის თქმით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ შს სამინისტროს ის მაღალჩინოსნები, რომელთაც აქციის დარბევის ბრძანება გასცეს. **"სპეცრაზმელებმა აშკარად გადააჭარბეს უფლებამოსილებას, რადგან მათ ხელკეტების გამოყენების უფლება არ ჰქონდათ. ამიტომ, უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, აქციის დროს დაკავებული პირები კი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. იმ ადამიანებთან, ვინც გზა გადაკეტა, უნდა მისულიყო მერიის წარმომადგენელი და საჯაროდ, პიკეტის დაშლის თაობაზე განცხადება გაეკეთებინა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა,"** - განაცხადა ანა დოლიძემ. მისივე განცხადებით, დაკავებულთა შორის მხოლოდ ერთია მოჭიდავე, დანარჩენები კი აქციაზე შემთხვევით მოხვედრილი პირები არიან.

ანა დოლიძის განცხადებით, პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის დროს აყვანილი 10 პიროვნება იმყოფება. ესენი არიან - მიხეილ ჟღენტი, გოგა გოგნიაშვილი, გოგი როგავა, ბასილ დავითიძე, თომაშვილი, ჭითანავა, თანდილაშვილი და გოგია. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაკავებულებს შორის არის ერთი არასრულწლოვანი - გვარად გელოვანი.

რუსთაველის გამზირზე მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებული ათი მოქალაქიდან რვას გაათავისუფლებენ. მათ ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრებათ. ამის შესახებ დაკავებულთა ადვოკატმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელმა გელა ნიკოლეიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, დაკავებულთა დაკითხვა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და ისინი წინასწარი დაკავების საკანს, ფორმალური პროცედურების მოგვარებისთანავე დატოვებენ. ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, ჯერჯერობით, პატიმრობაში დარჩება ყოფილი მოჭიდავე იმედა ზურაბიშვილი, რომელსაც პოლიცია ძარცვის ბრალდებით ეძებდა, და კიდევ ერთი დაკავებული - ზურაბ გოგია. **24 საათი**

# არასამთავრობოები ხელისუფლებას დაგვიანებას საყვედურობენ

პირველი გვერდიდან

წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გუშინდელ შეკრებაზე.

ალექსანდრე რონდელმა, გია ნოდიამ, დავით დარჩიაშვილმა და თეა თუთბერიძემ ერთხმად აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება რუსთაველის პროსპექტზე და ის პირებიც აუცილებლად უნდა დაისაჯონ, რომლებმაც უზენაესი სასამართლოს შენობა დაარბიეს.

საყვედური გაისმა ოპოზიციის მისამართით, რომ მან მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს და იცოდეს, ვის დაუდგეს გვერდში.

**"აშკარა დანაშაული იყო ის, რაც მოხდა უზენაეს სასამართლოში. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ მკაფიო პოზიცია უნდა დაიკავოს. შეიძლება, მას დღეს ქუჩის აქციების და პოლიტიკური დაძაბულობის თავიდან აცილება უფრო აინტერესებს, მაგრამ ამ ადამიანების დაუსჯელობა არ უნდა დაუშვას,** - აცხადებს პოლიტოლოგი გია ნოდია ხელისუფლების გასაგონად და იქვე ოპოზიციის მისამართით დასძენს, - **მიუხედავად მანიფესტაციის უფლებისა, პოლიტიკურმა მოთამაშეებმა მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ. დღევანდელ, მიმდინარე პოლიტიკურ მოგებას პოლიტიკური პრინციპები არ უნდა შეეწიროს."**

"ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით დარჩიაშვილმა, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება პიროვნულ ურთიერთობათა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე გაამახვილა.

პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი ქვეყნის დამოუკიდებლობის გასვლიდან 14 წლის შემდეგ სირცხვილად მიიჩნევს იმის განმარტებას, რომ სახელმწიფოს აქვს ძალის გამოყენების უფლება.

პრესკონფერენციის ორგანიზატორების აზრით, ცალკე მოკვლევის საგანია, გადაამეტეს თუ არა რუსთაველის პროსპექტზე შესაბამისმა უწყებებმა თავინთ ლეგიტიმურ უფლებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ალტერნატივას" წარმომადგენლის ირინა ცინცაძის პოზიციაში, ლევან რამიშვილის დარად, იგრძნობოდა ხაზგასმა იმისა, რომ სახელმწიფოს (ანუ ხელისუფლებას) უფლებების გარდა, აქვს გარკვეული მოვალეობები და მას პასუხისმგებლობაც ეკისრება. თუ დანარჩენები ზოგადად აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლოს დამრბევებიც აუცილებლად უნდა დასაჯოს, ქალბატონი ცინცაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით აქცენტებს ცოტა განსხვავებულად აკეთებს: **"ყველაზე დიდი შეცდომა, რაც 30 ივნისს მოხდა, იყო ის, რომ განრისხებულ ბრბოს ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლოს დარბევის შესაძლებლობა მისცა. ხელისუფლების გუშინდელი საქციელი არალოგიკური იყო."** არალოგიკურობაში ცინცაძე გულისხმობს, ერთი მხრივ, ხელისუფლების ქმედებას რუსთაველზე და, მეორე მხრივ, ხელისუფლების უმოქმედობას უზენაეს სასამართლოში.

ლევან რამიშვილი ხაზს უსვამს ვანო მერაბიშვილის საკმაოდ უწყინარ მოლაპარაკებებს იმ ადამიანებთან, რომლებმაც ამ მოლაპარაკებიდან რამდენიმე საათის წინ, უზენაეს სასამართლოში უკიდურესი სიბილწით აგინეს საქართველოს პრეზიდენტს და სასამართლოს შენობაში ავეჯი დაამტვრიეს.

"24 საათის" შეკითხვაზე": **"რა არის მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლებამ უზენაესი სასამართლოს დარბევის ფაქტი ურეაქციოდ დატოვა?"** - გია ნოდიამ უპასუხა: **"ხელისუფლების არაორგანიზებულობა და ისიც, რომ სააკაშვილი სამი თვის განმავლობაში მოჭიდავეებს აქებდა და ისინი გმირებად გამოჰყავდა."**

და ბოლოს, მასმედიის წარმომადგენლებმა პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ერთმანეთს შეკითხვა დაუსვეს: **"თუ დანაშაულში ეჭვმიტანილი მოჭიდავეების ბედს ნამდვილად სასამართლო წყვეტს, მაშინ რა მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დაკავებულების ახლობლები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან?"**

# ჩხუბში "გაპარული" კანონი

პირველი გვერდიდან

მძაფრი გამოსვლის დასრულებისთანავე, ოპოზიციონერმა დეპუტატმა გივი თარგამაძისგან დედის გინება მიიღო. შეურაცხყოფამ კობა დავითაშვილი განარისხა და კოლეგაზე გაიწია, მაგრამ დეპუტატებმა დააკავეს. ვნებები თითქოს დაცხრა, მაგრამ, უეცრად, სახელისუფლებო ფრაქციის წევრმა ნიკა ნაცვლიშვილმა ბეჟან გუნავას გაარტყა. ამის შემდეგ მონასტერი საბოლოოდ აირია: "რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა მუშტი უთავაზა გიგა ბოკერიას, რომელმაც წინა დღეს მის ძმას, ლევან ბერძენიშვილს, ტელეფონზე საუბრისას, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა; ერთდროულად რამდენიმე დეპუტატმა გალახა ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი, "რესპუბლიკელი" ლაშა ნაცვლიშვილი.

სხდომათა დარბაზიდან ოპოზიციის "გაქცევამ" საპარლამენტო უმრავლესობას დიდი სიამოვნება მიანიჭა.

**"ოპონენტებმა თავი გაგვალახინეს,** - იკვეხნიდა თვითონაც გალახული გიგა ბოკერია, - **ჩვენი გარყვნილი პოლიტიკური სპექტრი უნდა დავარწმუნოთ, რომ უცხო ქვეყნის სამსახურის მიერ წახალისებულ ქმედებებს საქართველოში გასაქანი აღარ ექნება."**

"აგენტურის" თემაზე უმრავლესობის სხვა წევრებმაც ისაუბრეს: დავით კირკიტაძემ და ნოდარ გრიგალაშვილმა მოითხოვეს ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღება, რითაც გაირკვევა, **"თუ ვის ემსახურება ის ხალხი, ვინც რუსთაველზე ირეოდა."**

**"მერე და, ვინ არის წინააღმდეგი, რომ ასეთი კანონი მივიღოთ? დაწერეთ და შემოიტანეთ შესაბამისი კანონპროექტი,"** - სიტყვიდან საქმეზე გადასვლას ურჩევდა თანაფრაქციელებს მიხეილ მაჭავარიანი.

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი აკაკი ბობოხიძე კი ხელისუფლებას ზომების გამკაცრებისკენ მოუწოდებდა.

**"საქართველოს უსუსური ხელისუფლება არ ჰყავს. ეს ხელისუფლება რუსთაველზე ბარიკადებს არ მოგაწყობინებთ,"** - აფრთხილებს ოპოზიციურ ძალებს ხონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცებით, **"ხელისუფლებამ რუსთაველის გამზირზე და პარლამენტში წარმოდგენები იმიტომ მოაწყო, რომ მერის არჩევითობის საკითხი მეორე პლანზე გადასულიყო."** თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ, გამოდის, რომ მიზანი მიღწეულია - "თბილისის შესახებ" კანონში მესამე მოსმენით ცვლილებების შეტანას და ამ ცვლილებების საბოლოოდ მიღებას დეპუტატებმა გუშინ, სულ რაღაც, ოთხი წუთი მოანდომეს.

# "რესპუბლიკელების" რჩევა - "გონზე მოდით"

*"შევარდნაძის უთავო ხელისუფლება სააკაშვილის თავზეხელაღებულმა ხელისუფლებამ შეცვალა. ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების ყოველგვარ პროვოკაციულ ქმედებას, მათ შორის - ძალადობრივს, ჩვენ დავუპირისპიროთ პოლიტიკური და სამოქალაქო წინააღმდეგობის კარგად გააზრებული ფორმები," - ეს განცხადება გუშინ "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერებმა საკუთარ ოფისში გააკეთეს, რის შემდეგაც მათ ვერის ბაღში გადაინაცვლეს.*

თამარ დვალი

"რესპუბლიკელების" აზრით, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლების წრეებში უფრო და უფრო ნაკლებად ვხვდებით კეთილგონიერ და მოვლენებზე გავლენის მქონე ადამიანებს, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყანაში მშვიდობიანი პროცესის განვითარებაზე ოპოზიციამ უნდა იკისროს.

**"თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ საჭიროა გზის გახსნა, მაშინ მან ეს უნდა გააკეთოს ცივილიზებული ფორმით და კანონის დაცვით. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში დემონსტრაციის მონაწილეებს უფორმო პოლიციელები არ აკავებენ. ეს კარგად უნდა იცოდეს როგორც ჩვენმა რეფორმირებულმა პოლიციამ, ასევე ხელისუფლებამაც,"** - განაცხადა "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

"რესპუბლიკელების" აზრით, ის ადამიანები, რომლებიც აქციის დროს დააკავეს და შემდეგ კრიმინალებად გამოაცხადეს, მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებებს მართავდნენ. თუმცა, მაშინ მათ მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს. უსუფაშვილის თქმით, შემდგომაც, როდესაც მოვლენები უფრო დაიძაბა, სწორედ უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ პირველი პოლიტიკოსები, რომლებიც მოვლენათა ეპიცენტრში გამოჩნდნენ. **"მათმა სამართლებრივად და პოლიტიკურად მიუღებელმა კომენტარებმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. დღეს კი ხელისუფლება ცდილობს, ისე წარმოაჩინოს სიტუაცია, თითქოს ვითარება პოლიტიკური ოპოზიციის გამოჩენამ დაძაბა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება,"** - განაცხადეს "რესპუბლიკელებმა". ისინი ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის რიგებში მყოფი პარტიების ერთ კონტექსტში მოხსენიებასაც აპროტესტებენ და მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის რიგებში არსებობს ხალხი, რომელთა წინაშეც ხელისუფლებას არგუმენტები, უბრალოდ, არ სჭირდება, რადგან ისინი ისედაც დისკრედიტებულნი არიან, და არის ოპოზიცია, რომელთანაც ხელისუფლებას არგუმენტები არა აქვს. **"ჩვენ გვაქვს ჩვენი პოზიცია და არავის მივცემთ უფლებას და საშუალებას, თავიანთი სცენარით გვაწარმოებინონ პოლიტიკა,"** - აცხადებს უსუფაშვილი.

ივლიანე ხაინდრავას თქმით, ისეთი კონფრონტაციული გზით ქვეყანაში საქმის წარმართვა, როგორიც დღევანდელ ხელისუფლებას ახასიათებს, შეუძლებელია. **"მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გონს მოეგოს, თუკი გონის ნატამალი მაინც დარჩენიათ,"** - აცხადებს ხაინდრავა.

# სასამართლოს სუბიექტური გადაწყვეტილება - არც კანონიერი, არც უკანონო

პირველი გვერდიდან

იმეორებდა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის შინაარსს, ბრალდება, რომელიც რევაზიშვილსა და დავითაშვილს აქვთ წარდგენილი, მძიმეა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, პატიმრობის შეფარდებისას სასამართლოს თავისი უფლებამოსილებისთვის არ გადაუხვევია. სამაგიეროდ, იმავე კოდექსის 153-ე მუხლში ვკითხულობთ: **"აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებენ წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს."** სასამართლოს რომ ამ მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, დაკავებულთა პიროვნება და მათი საქმიანობა გაეთვალისწინებინა, შესაძლოა, მისი გადაწყვეტილება სხვაგვარი ყოფილიყო.

მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სხვადასხვა მიზეზის გამო, არაერთხელ გამხდარა არა მარტო კრიტიკის, არამედ, საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან მასში ცვლილებების შეტანის ობიექტიც. თუმცა, რაც შეეხება კოდექსში აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ გამოყოფილ თავს, მიუხედავად აქ შეტანილი გარკვეული კორექტივებისა, სუბიექტივიზმის გამოვლენის საფუძველს კვლავაც ბევრი რამ იძლევა. კერძოდ: საპროცესო კოდექსში გამოყენებული ფორმულირებები "აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს" (და არა - "უნდა იყოს"), "აღკვეთის ღონისძიებად შეიძლება შეირჩეს" (და არა - "უნდა შეირჩეს"), "მოსამართლეს უფლება აქვს" (და არა - "მოსამართლე ვალდებულია"), მოსამართლეს, ფაქტობრივად, სუბიექტური გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას აძლევს.

სხვა საკითხია, რატომ მოდის ბოლო ხანებში მოსამართლეების ყველა გადაწყვეტილება უნისონში სამართალდამცველთა ნებასთან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, მხოლოდ ის თუ შეძლებს, ვინც იცის, რევაზიშვილისა და დავითაშვილის სასამართლო პროცესის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოჭიდავეებმა სამართლის საძიებლად რატომ მიმართეს არა ქართული მართლმსაჯულების წარმომადგენლებს, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს.

EMERGING MARKETS GROUP

An independent firm associated with Deloitte Touche Tohmatsu

Emerging Markets Group, Ltd.
Suite 900 West

1001 G Street NW
Washington, DC 20001-4549
USA
Tel: +1.202.572-7000
Fax: +1.202.572-7001
www.emergingmarketsgroup.com

Private & Pubic Sector Experts

Emerging Markets Group (EMG), an independent firm associated with Deloitte Touche Tohmatsu, is currently seeking a variety of long-term candidates for upcoming USAID projects in Georgia.

We are seeking long-term technical advisors with expertise in some or all of the following functional areas:

- Banking
- SME Finance
- Agriculture finance
- Microfinance
- Financial institution training
- Commercial law
- Public sector management
- Tax and customs
- Business and property registration
- Licenses and permits
- Agricultural privatization
- Association development
- Information technology
- Economics
- Project management

Additional Requirements for Experts:

- Demonstrated project management, leadership, and technical skills.
- Ability to liaise and build strong relationships with senior government officials, donor representatives, business and community leaders.
- Excellent communication skills and ability to facilitate dialogue across multiple sectors and stakeholders.
- Master's degree is desirable.
- Fluency in English.
- Knowledge of MS Office (Word, Excel, PowerPoint).

To Apply:
Please submit your CV
to recruitment@emergingmarketsgroup.com.
Please enter 'Georgia/Local Positions' in the subject line.

EMG is an equal opportunity employer.

# გერმანიის კანცლერს პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა

*გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის თხოვნა, მის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 1 ივლისს დააკმაყოფილა. შრიოდერი ახლა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში შეეცდება მხარდაჭერის მოპოვებას. კანცლერის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, იმისთვის, რომ ეკონომიკური პროგრამის შემდგომი განხორციელება გაგრძელდეს, გერმანიის ამომრჩეველმა მის გუნდს კვლავ ნდობა უნდა გამოუცხადოს.*

ნანა ნასყიდაშვილი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰორსტ კიოლერმა 21-დღიან ვადაში უნდა დაამტკიცოს პარლამენტის გადაწყვეტილება და გამოაცხადოს ახალი არჩევნების თარიღი. სავარაუდოდ, საპარლამენტო არჩევნები 18 სექტემბერს გაიმართება, - ასეთი შედეგით დასრულდა გერჰარდ შრიოდერის ინიციატივა, რომელმაც პარლამენტს საკუთარი კაბინეტისადმი უნდობლობა გამოაცხადებინა.

კანცლერის მიმართ უნდობლობის გამოცხადების კენჭისყრისას 151 დეპუტატმა შრიოდერს ნდობა, 296-მა (ოპოზიციის ყველა წარმომადგენელმა) უნდობლობა გამოუცხადა, ხოლო 148 დეპუტატმა თავი შეიკავა.

გერჰარდ შრიოდერი საკუთარი ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამოცხადების ინიციატივით, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის რეგიონში მაისში გამართულ არჩევნებში მისი პარტიის (სოციალ-დემოკრატიული პარტიის) დამარცხების შემდეგ გამოვიდა. კანცლერის განცხადებით, აღნიშნულ რეგიონში, სადაც წინათ უპირატესობას სოციალ-დემოკრატებს ანიჭებდნენ, ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვება "დაგეგმილ ამოცანათა განხორციელებისთვის აუცილებელ პოლიტიკურ საფუძველს ანგრევს". შრიოდერს ეკონომიკური პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობად ამომრჩეველთა მხრიდან მისი მთავრობისადმი ნდობის ხელახალი გამოცხადება მიაჩნია. **"ახალი მანდატის მოპოვების გარეშე ჩემს პოლიტიკურ პროგრამას ვერ განვახორციელებ,"** - აღნიშნა კანცლერმა.

თუმცა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ახალ არჩევნებში გამარჯვების გარანტია შრიოდერის პარტიას სულაც არა აქვს. პირიქით, ქრისტიან-დემოკრატები პოპულარობის მიხედვით 17 პროცენტით აღემატებიან მმართველ პარტიას. წინასწარი პროგნოზების გამართლების შემთხვევაში, გერმანიის კანცლერი, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, შესაძლოა, ქალი, ანგელა მერკელი გახდეს.

50 წლის ანგელა მერკელი გერმანიაში ერთ-ერთი პოპულარული მანდილოსანი პოლიტიკოსია. ის ჰამბურგში დაიბადა, თუმცა, მისი ოჯახი საცხოვრებლად აღმოსავლეთ გერმანიაში გადავიდა და მომავალი პოლიტიკოსიც სწორედ იქ აღიზარდა. ქვეყნის გაერთიანებამდე ორი თვით ადრე ის ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანდა და სულ რაღაც სამ თვეში ქალთა და მოზარდთა საკითხში ჰელმუტ კოლის ხელისუფლების მინისტრი გახდა. 2000 წლის აპრილში, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო დაფინანსებასთან დაწყებული სკანდალის შემდეგ, ანგელა მერკელი პარტიის ლიდერი გახდა. ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, პოლიტიკოსი თავის პარტიაში უცხოდ გრძნობს თავს. ეს იმითაა განპირობებული, რომ ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში უმრავლესობას კათოლიკე კაცები წარმოადგენენ, რომლებიც დასავლეთ გერმანიიდან არიან, ხოლო მერკელი პროტესტანტია და პოლიტიკოსის თანაპარტიელები მას აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენლად მიიჩნევენ. სპეციალისტთა აზრით, მერკელს კანცლერის თანმდებობის დაკავების საკმაოდ დიდი შესაძლებლობა აქვს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება ქვეყანაში ახალი არჩევნების ავტომატურ ჩატარებას არ გულისხმობს. გერმანიაში მოქმედი კანონების თანახმად, უნდობლობის გამოცხადებისთანავე პარლამენტმა ახალი კანცლერი უნდა დაასახელოს. **"გერმანიაში ახალი არჩევნები ჩატარდება. ეს გერმანიის პოლიტიკის შინაარსობრივ ცვლილებას გულისხმობს. ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ანგელა მერკელი ქვეყანაში იმ რეფორმებს განახორციელებს, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ბოლო 15 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა,"** - აღნიშნა ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა გავლენიანმა წარმომადგენელმა ქრისტიან ვულფმა.

გერმანიაში არსებული მდგომარეობის ფონზე, როდესაც ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ხოლო ხელისუფლება არაპოპულარული რეფორმების განხორციელებას ცდილობს, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა გერჰარდ შრიოდერის პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს (გერმანიის მოსახლეობის 11,3 პროცენტი, 4,7 მილიონამდე ადამიანი უმუშევარია).

ზოგიერთი ექსპერტი, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიუხედავად, კანცლერის მიერ დაყენებული საკითხის, ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამოცხადების სისრულეში მოყვანის ლეგიტიმურობას, ეჭვქვეშ აყენებდა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სოციალ-დემოკრატიული და მწვანეთა პარტიის ზოგიერთი დეპუტატი შრიოდერის ინიციატივის მომხრე არ იყო და ყველაფრის მიუხედავად ხელისუფლების მხარდაჭერას არ აპირებდა.

გერმანიის ისტორიაში ხელისუფლების მსგავსი მეთოდით შეცვლა 1982 წელს უკვე განხორციელდა. ქვეყნის პარლამენტმა უნდობლობა მაშინ ჰელმუტ შმიდტის მთავრობას გამოუცხადა და კანცლერად ჰელმუტ კოლი დანიშნა. მან მმართველი ხელისუფლების მიმართ უნდობლობის გამოცხადება და პარლამენტის დათხოვა მოახერხა, ხოლო ახალ არჩევნებში კანცლერმა წინასწარ დაგეგმილი გეგმის სისრულეში მოყვანა და საკანონმდებლო ორგანოში სრული უმრავლესობის მოპოვება შეძლო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძლადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელია აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: გურამიშვილის გამზ. N35, ც.დადიანის ქუჩა N261, ც.დადიანის ქუჩა N323, მუხრანის ქუჩა N1, მუხრანის ქუჩა N5 და ბეჟანიშვილის ქუჩა N21.

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, 2005 წლის 18-19 ივლისს 11 სთ-დან 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სხვა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-ს საიფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ;

**4.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ბ) ნოტარიალურად დამოწმებული ლიცენზიის ასლი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლების შესახებ.

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა და იმ საწარმოო პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ რომელთაც დაევალებათ აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

ე) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 22 ივლისის 11 საათიდან 25 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტიის მექანიზმი.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნანა ლომჯარია - საბინაო-კომუნალური განყოფილების წამყვანი სპეციალუსტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი: 62-96-73 და ნინო კიკვაძე - ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 65-25-13; მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

*სატენდერო კომისია*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს ქართული ენის სასწავლო კურსის შესაქმნელად

**კონკურსის მიზანი:**

შერჩეული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონების სახელმწიფო ორგანოების (გამგეობა, პოლიცია, საკრებულოს აპარატი, საგადასახადო სამსახური, საბაჟო და სხვ.) თანამშრომელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამის ფარგლებში მსმენელთა სახელმწიფო ენის კომპეტენციის ამაღლებას.

სასწავლო კურსები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში, რომელიც წარიმართება ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ქ. ქუთაისში, სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის სასწავლო მოდულის ფარგლებში.

**კონკურსის პირობები:**

**საკონკურსო პროგრამების წარმოდგენა შეუძლიათ შესაბამისი კვალიფიკაციის, თეორიული, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.**

**კონკურსი ცხადდება ორი დამოუკიდებელი კურსის შესაქმნელად. მსურველებს შეუძლიათ საკონკურსოდ წარმოადგინონ ერთ-ერთი ან ორივე კურსი.**

1. ქართული ენის პრაქტიკული კურსი ქართულენოვან მსმენელთათვის. კურსი გათვლილი უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის კვირაში 4 საათის მოცულობით. კურსი მიზნად უნდა ისახავდეს მსმენელთა წერითი თუ ორატორული ჩვევების განვითარებას და ითვალისწინებდეს საჯარო მოხელეთა რეალურ საჭიროებებს. კურსის შემდგენლებმა უნდა შეარჩიონ ან განავითარონ შესაბამისი სასწავლო მასალები.

2. ქართულის, როგორც მეორე ენის 3-თვიანი ინტენსიური კურსი დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მსმენელთათვის, საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის. კურსი გათვლილი უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ოპტიმალური დატვირთვის ფარგლებში. კურსი მიზნად უნდა ისახავდეს საკომუნიკაციო ენის, წერითი და ორატორული ჩვევების განვითარებას. კურსის შემდგენლებმა უნდა შეარჩიონ ან განავითარონ შესაბამისი სასწავლო მასალები.

*უპირატესობა მიენიჭება იმ საპროექტო წინადადებებს, სადაც წარმოდგენილი იქნება სწავლების ეფექტური მეთოდოლოგია და სასწავლო პროცესის განხორციელების მკაფიო გეგმა.*

**წარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო მოდულის ავტორთა პროფესიული ბიოგრაფიები, საკონტაქტო ინფორმაცია; იურიდიული პირებისათვის - ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.**

**კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული პირებისათვის 2005 წლის 5 ივლისს, 18 საათზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართება საკონსულტაციო შეხვედრა.**

**საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 5 აგვისტო, 18 საათი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ნატო ფანჩულიძეს: მისამართი : განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უზნაძის 52, ოთახი 119. ტელეფონი: 959 912; 899 11 03 30; ელ-ფოსტა: nato@mes.gov.ge**

# ტერაქტი მახაჩყალაში

მახაჩყალას ცენტრში მომხდარი გუშინდელი აფეთქების შედეგად, 11 ადამიანი დაიღუპა და 23 დაიჭრა. მათი უმეტესობა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ.

როგორც "იტარ-ტასი" იტყობინება, აფეთქება, დაახლოებით, 14.15 საათზე, ატაევის ქუჩის N7-თან იმ მომენტში მოხდა, როდესაც იქვე სამხედრო მომსახურეებით დატვირთულმა ავტომანქანამ ჩაიარა. ერთ-ერთი ვერსიით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩაფლული იყო აბანოსთან ახლოს, სადაც რუსი სამხედროები მიდიოდნენ.

აფეთქების ტალღამ ირგვლივ მდებარე სახლების მინები ჩაამსხვრია. წინასწარი ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე 10 კგ ტროტილის ეკვივალენტს შეადგენდა.

დაღესტნის პროკურორის მოადგილის ზაურ ისაევის თქმით, დაღუპულთა შორის შემთხვევით გამვლელებიც არიან.

აღსანიშნავია, რომ ეს მახაჩყალაში რუსი სამხედროების წინააღმდეგ მოწყობილი აფეთქების პირველი შემთხვევა არ არის. 2001 წლის 17 იანვარს ავტომანქანა "ურალის" აფეთქებისას 17 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა. 2002 წლის იანვარში კი ტერაქტი იმავე სახლის ახლოს მოხდა, სადაც გუშინ გაისმა აფეთქება. საგულისხმოა, რომ მაშინაც იმავე სამხედრო ნაწილის - შსს-ს 102-ე ბრიგადის 7 ჯარისკაცი დაიღუპა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თურქეთი.** ტერორისტი, რომელიც გუშინ პოლიციამ თურქეთის მთავრობის რეზიდენციასთან გაანადგურა, სავარაუდოდ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოგანზე აპირებდა თავდასხმას. როგორც ერთ-ერთი თურქული ტელეარხი იუწყება, გამომძიებელთა ვერსიით, ტერორისტი საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით შენობაში შეღწევას ცდილობდა. პოლიციელებმა შეამჩნიეს, რომ საეჭვო პირს ტანზე ასაფეთქებელი მოწყობილობა ჰქონდა დამაგრებული. პოლიციელებმა ბოროტმოქმედი გაქცევის მცდელობისას მოკლეს, ისე, რომ მან ბომბის ამოქმედება ვერ მოასწრო. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ესპანეთი.** ესპანეთი გახდა მსოფლიოს მესამე ქვეყანა, რომელმაც დაუშვა ჰომოსექსუალური წყვილების ქორწინება. პარლამენტმა, რომის კათოლიკური ეკლესიისა და კონსერვატიული ძალების პოზიციის საწინააღმდეგოდ, მიიღო კანონი, რომელიც ჰომოსექსუალურ წყვილებს ანიჭებს, ისევე როგორც ჰეტეროსექსუალურ წყვილებს, ქორწინების, განქორწინებისა და შვილის აყვანის უფლებას. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**აშშ.** თეთრი სახლი გამოთქვამს შეშფოთებას ინფორმაციით, რომლის თანახმად ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჰმუდ აჰმადინეჯადი მონაწილეობდა 1979 წელს თეირანში ამერიკული საელჩოს დაპყრობაში. ეს ცნობა დამოუკიდებელ წყაროებს არ დაუდასტურებიათ, მაგრამ ორი ყოფილი ამერიკელი დიპლომატი, ვინც მაშინ საელჩოში 444 დღე დაჰყო მძევლობაში, ირწმუნება, რომ აჰმადინეჯადიც იყო აშშ-ს საელჩოში მძევლების ამყვანთა შორის. თეთრი სახლის პრეს-მდივან სკოტ მაკკლელანის განცხადებით, მიმდინარეობს ამ ბრალდებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიება. მოჰსენ მირდამედი, 1979 წელს თეირანში მძევალთა ამყვანების ლიდერი აცხადებს, რომ აჰმადინეჯადი არ ყოფილა მის ჯგუფში. **რადიო თავისუფლება**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის საბაზისო სასწავლო მოდულის შესაქმნელად

**კონკურსის მიზანი:**

შერჩეული სასწავლო მოდული უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონების სახელმწიფო ორგანოებისთვის (გამგეობა, პოლიცია, საკრებულოს აპარატი, საგადასახადო სამსახური, საბაჟო და სხვ.) თანამშრომელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამას სახელმწიფო მართვის სფეროში არსებულ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

სასწავლო მოდული გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში, რომელიც წარიმართება ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ქ. ქუთაისში.

**კონკურსის პირობები:**

საკონკურსო მოდულების წარმოდგენა შეუძლიათ სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის სფეროში თეორიული, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მოდულის ავტორებმა უნდა წარმოადგინონ 3-თვიანი სასწავლო გეგმა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება სასწავლო საგნებისა და საკითხების ისეთი კრებული, რომელიც სასწავლო პროგრამის მსმენელებს შესთავაზებს მასალებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საქმიანობის სფეროდან.

სასწავლო მოდულში საათობრივი დატვირთვა განაწილებული უნდა იყოს თითოეული საკითხის მოცულობის შესაბამისად. ცალკე უნდა იყოს გათვალისწინებული დატვირთვა ქართული ენისათვის - კვირაში 4 საათის მოცულობით. ქართული ენის სასწავლო კურსის შესადგენად კონკურსი ცხადდება დამატებით.

**სახელმწიფო მართვისა და თვითმმართველობის საბაზისო კურსი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:**

სახელმწიფო მართვის არსი - დემოკრატიის რაობა, საჯარო მოხელეთა როლები, უფლებები და მოვალეობანი, საქართველოს კონსტიტუცია, ხელისუფლების სამი შტო და მათი ურთიერთადამოკიდებულება ერთმანეთთან, კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;

- დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები - დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა და ტიპები, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოხელეების საქმიანობა და მათი კავშირი მოსახლეობასთან;

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ასპექტები და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია;

- ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება და მისი ჩართულობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღებაში;

ინფორმაციის თავისუფლება და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.

**უპირატესობა მიენიჭება იმ საპროექტო წინადადებებს, სადაც წარმოდგენილი იქნება სასწავლო მოდულით გათვალისწინებული საგნების სწავლების ეფექტური მეთოდოლოგია და სასწავლო პროცესის განხორციელების მკაფიო გეგმა.**

**წარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო მოდულის ავტორთა პროფესიული ბიოგრაფიები, საკონტაქტო ინფორმაცია; იურიდიული პირებისათვის - ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.**

**კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული პირებისათვის 2005 წლის 5 ივლისს, 18 საათზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართება საკონსულტაციო შეხვედრა.**

**საპროექტო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 5 აგვისტო, 18 საათი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ნატო ფანჩულიძეს: მისამართი : განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უზნაძის 52, ოთახი 119. ტელეფონი: 959 912; 899 11 03 30 ელ-ფოსტა: nato@mes.gov.ge**



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ!









ამ დღეებში შალვა ნათელაშვილმა მისთვის ჩვეული კომპეტენტური ტონით გამოაცხადა, რომ ისტორია არ მეორდება. ჩემი აზრით, ეს ხმამაღალი განაცხადი მისი მხრივ ისტორიის სრულ უცოდინრობაზე მეტყველებს. მართალია, ნათელაშვილის მსგავსი პერსონაჟები კაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისტორია ძალიან ხშირად და თანაც საკმაოდ მტკივნეულად მეორდება. გლობალურად კაცობრიობის ისტორიის გარჩევას და ნათელაშვილის მსგავსად საკუთარი თავის არაკომპეტენტურ როლში წარმოჩენას ნამდვილად არ ვაპირებ. ამისთვის, ნათელაშვილისაგან განსხვავებით, ჭკუაც და თავმდაბლობაც მყოფნის. ამ ბოლო პერიოდში საქართველოს უახლესი ისტორიის ზოგიერთი მტკივნეული ეპიზოდის გამეორების შიში რომ გამიჩნდა, ამას კი ვაღიარებ. 1991 წელს საქართველოს ჰყავდა კანონიერად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომლის არჩევა, გამარჯვება ათწლეულების კომუნისტურ რეჟიმზე გამარჯვებასთან, ქვეყნის დამოუკიდებლობასთან, თავისუფლებასთან იყო გაიგივებული. პრეზიდენტის მმართველობით, გარემოცვით, მთავრობის შემადგენლობით და, რაც მთავარია, მოსალოდნელი რადიკალური ცვლილებებით უკმაყოფილების აქტიური გამოხატვა სწორედ იმ ფენამ წამოიწყო, რომელიც საკუთარ თავს ინტელიგენციას უწოდებდა და იმდროინდელი ქართული საზოგადოების "ელიტას" წარმოადგენდა. ინტელიგენცია უნივერსიტეტის, ტელევიზიის კიბეებზე, რუსთაველზე, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით საკუთარ, შეიძლება სამართლიან, უკმაყოფილებას არ მალავდა. ეს კი ვითომ დამარცხებული და, ამავე დროს, უბრალოდ იატაკქვეშეთში გადასული კომუნისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. საზოგადოების, შეიძლება ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ნაწილის უკმაყოფილება, მათ მიერ გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, შესანიშნავად, ოპერატიულად, პროფესიონალურად გამოყენებული, გათამაშებული, გაპოლიტიზირებული იქნა და შედეგად საქართველოს უახლეს ისტორიას ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, სისხლიანი, სამარცხვინო ფურცელი - კანონიერი პრეზიდენტის იარაღის ძალით დამხობა, თბილისისა და შემდგომ სამოქალაქო ომები - შეემატა. გავიდა წლები. საქართველომ რთულად, მაგრამ იარები მეტ-ნაკლებად მოიშუშა და დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდა, რომ ერთ დიდ უკანონობას ისეთი მძიმე მემკვიდრეობა მოჰყვა, რომელიც არანაირი დიქტატურის დამხობის ფასად არ ღირდა. ყველაფერი კი საზოგადოების "ელიტარული" ნაწილის თითქოსდა სამართლიანი უკმაყოფილებით დაიწყო, რომელიც ვიღაცის ბინძურ პოლიტიკურ თამაშში კოზირად იყო გათამაშებული. ამ მწარე თამაშის ბოლო აქტი კი შევარდნაძის წინაშე ამავე "ელიტარული" საზოგადოების ფიზიკური და მორალური დაჩოქება იყო, რომელიც, სრულიად აუხსნელად, საზოგადოებამ ძალიან მშვიდად, ყოველგვარი უკმაყოფილების გარეშე მიიღო!

2003 წლის ნოემბერში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ დაჩოქილის შეურაცხმყოფელი პოზის შეცვლა, საკუთარი ღირსების დაცვა უპრეცედენტო ფორმით შეძლო. დღევანდელი ქართული საზოგადოების ასევე "ელიტარული" ახალგაზრდა ნაწილი რევოლუციის იდეებს გულშემატკივრობდა, ქუჩაში იდგა და ხალხის მასების გვერდზე საკუთარ ღირსებასაც იცავდა. კარგად მახსოვს, შევარდნაძის გადადგომის შემდეგ ეიფორიაში მყოფმა რევოლუციის ერთ-ერთმა ცნობადმა სახემ ტელეეთერის საშუალებით საჯაროდ განაცხადა, "ახლა შევარდნაძე გადავაგდეთ. შემდეგი პრეზიდენტი არ მოგვეწონება, იმასაც გადავაგდებთ!" რა კარგია! ვის ან რის ხარჯზე?! ამაზე რევოლუციური ცნობილი სახე არ ან ვერ ფიქრობდა. არც უნდოდა, რომ დაფიქრებულიყო. მთავარია, რომ მას ხელისუფლების პერმანენტული დამხობა ძალუძს.

ის, რომ დღეს საქართველოში ძალიან ბევრია ისეთი პოლიტიკოსი, პოლიტიკური პარტია, ცალკეული პიროვნება, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერი, თუნდაც სისხლიანი მეთოდით დამხობა სანატრელ ოცნებად აქვს გადაქცეული, სრულიად ნათელია. ის, რომ ვიღაცა ორი დამნაშავის დაჭერა ან ვინმეს სამსახურიდან გათავისუფლება მათ სრულებით არ აწუხებთ და მხოლოდ პოლიტიკური გათამაშებისათვის, სპეკულაციისათვის იყენებენ, ესეც ნათელია. ის, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის, რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანის, მსოფლიოს მიერ საქართველოში დემოკრატიული პროცესების აღიარების ფონზე ზოგიერთებს ფეხქვეშ ნიადაგი, საყრდენი ეცლებათ და აგონიურად მოქმედებენ, თვითლუსტრაციას ახდენენ, ქართული საზოგადოებისათვის ესეც ნათელია. ის, რომ ნოემბრის რევოლუცია ძალიან ბევრისთვის დასასრულის დასაწყისს ნიშნავდა, ესეც ვიცით. ამიტომ, ოპოზიციის ნაწილისაგან, საზოგადოების ზოგიერთი წევრისაგან - შალვა ნათელაშვილისაგან, ირინა სარიშვილისაგან, ედპ-საგან, შაშიაშვილისაგან... არაფერი გვიკვირს, უკეთესს არც ველოდებით. მაგრამ ერთი რამ კი გულწრფელად მაინტერესებს. როგორ შეიძლება რაღაცა მართლა მნიშვნელოვანი იწამო, მისთვის იბრძოლო, მოიპოვო და წელიწადნახევარში დაკარგო? როგორ შეიძლება ნოემბრის რევოლუციას გულშემატკივრობდე და დღეს შაშიაშვილის ან ნათელაშვილის პოზიციას იზიარებდე? ამაში ელემენტარული ლოგიკური შეუთავსებლობა იკვეთება. ან 2003 წლის ნოემბერშიც ტყუოდი, თამაშობდი, ვითომ შეურაცხყოფილი ხარ და რაღაცის გამოსწორების სურვილი გაქვს, ან ახლა სპეკულირებ, ცდილობ ჩქარ-ჩქარა ახალი ქულები დაიწერო. მყარი, დიდი, ჭეშმარიტი ასე იოლად, ასეთ მოკლე ვადაში არ ქრება, არ ინგრევა. საქართველოში რომ დღეს ჯერ ძალიან ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, გასაკეთებელი, ფეხზე წამოსაყენებელი, ეს ყველასათვის ცნობილია და ყველას ერთად გასაკეთებელია. სამწუხაროდ, კორუფცია ჯერაც რომ აქტუალურია, სასამართლო მოსაწესრიგებელია, ამას თვით ხელისუფლებაც აღიარებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის ვარიანტებზე კამათიც სრულიად მისაღები და ბუნებრივია. უნივერსიტეტში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, სასწავლებელში გარდაუვალი, აუცილებელი შემცირებები ძალიან მტკივნეული და ფაქიზი პროცესია, ესეც ვიცით. ის, რომ ნებისმიერ დაპატიმრებულ კრიმინალს, მოხსნილს, მხილებულს საქართველოში ათობით სუბიექტური ნათესავი, მეგობარი, ახლობელი უდგას, ესეც მოსალოდნელი იყო. მაგრამ რატომ არ შეიძლება სუბიექტური ან ობიექტური პოზიციის, მოსაზრების ცივილიზებული ფორმით გამოხატვა. ფორმით, რომელიც სხვის მიერ ბინძურ თამაშში გამოყენებული ვერ იქნება. ფორმით, რომელსაც რუსული სპეცსამსახურები, მათი ადგილობრივი ქართველი თანამშრომლები, ჩასაფრებული მასმედია თავის სასარგებლოდ უმალ ვერ გაათამაშებს. რა საჭიროა ქუჩის აქციები, გზების გადაკეტვა, სავალ თეთრ ხაზზე დაწოლა და გულის წასვლის ინსცენირება, შანტაჟი, თეატრალურობა, პროვოკაცია? ხომ უნდა არსებობდეს სხვაობა პოეტს, გარემოვაჭრე ქალს, მოჭიდავე "ჯღანას" ახლობლებს, დრამატურგს, მოღალატესა და ობიექტურ გულშემატკივარს შორის. უცნაურია, როგორ ვერ უნდა იგრძნო, რომ შენი კრიტიკა ჩასაფრებულობის, მიკერძოების, ტენდენციურობის სახეს უფრო იღებს. როგორ ვერ უნდა იგრძნო, რომ სუბიექტივიზმი ძალიან იოლი ამოსაკითხია და სამართლიან პრეტენზიასაც კი აუფასურებს. როგორ ვერ უნდა იგრძნო, რომ შენდა უნებურად შენი და ნესტან კირთაძის, შალვა ნათელაშვილის, ჯემალ შაშიაშვილის შეხედულებები ემთხვევა. როგორ უნდა გიჭირდეს, რომ შენს სათქმელს კირთაძეს ან ედპ-ს აივნიდან, როგორც სოროდან გამომძვრალ აქტივისტს, ალაპარაკებდე. როგორ ვერ უნდა იგრძნო, რომ ხელისუფლებას, რომელსაც სულ რაღაცა ერთი წლის წინ მთელი ქვეყნის მოსახლეობამ საკუთარი ბედი ანდო, უნდა აცალო და მინდობილი საქმე ბოლომდე მიაყვანინო. ვერ გააკეთებს, თავს ვერ გაართმევს - უბრალოდ აღარ აირჩიო. როგორ ვერ უნდა იგრძნო, რომ ნოემბრის, თუნდაც უსისხლო რევოლუციის პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა თავის თავზე აიღო და ობიექტური შენიშვნების, მითითებებისა და არა ისტერიული ჩასაფრების პარალელურად, თითოეულმა ის საქმე უნდა აკეთოს, რომელიც იცის, ეხერხება და რომელიც მის ქვეყანას ასე სჭირდება დღეს. როგორ ვერ უნდა მიხვდე, რომ ნელ-ნელა სხვისი ბინძური პოლიტიკური თამაშის იარაღი ხდები. როგორ ვერ უნდა ხედავდე, რომ ათწლეულების განმავლობაში გაძარცვულ, გაუბედურებულ, დანგრეულ საქართველოს ქუჩის, თუნდაც მშვიდობიანი აქციებისთვის არ სცალია და ისინი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, შიშს უფრო წააგავს, ვიდრე პრინციპულობისთვის ბრძოლას, რომელიც, სხვათა შორის, საკუთარი თავიდან უნდა იწყებოდეს.

ქართული საზოგადოება შესანიშნავად ხედავს ყველაფერს. ყველას საკუთარ დამსახურებულ სახელს არქმევს, ადგილს უჩენს. ყველამ იცის, ვინ არის მედროვე, ავანტიურისტი თუ უბრალოდ იდიოტი. ქართული საზოგადოება ნათლად არჩევს, ვინ რისთვის იბრძვის - საკუთარი პატარა ინტერესებისთვის, კომფორტული წარსულის დაბრუნებისთვის თუ ქვეყნის ინტერესებისთვის და თოთხმეტი წლის წინანდელს აღარ გაამეორებინებს. ჩვენ ყველამ ერთად შეცდომები ბევრჯერ დავუშვით და ამ შეცდომებს თავადვე შევეწირეთ. მაშ, რატომ ვერ ვსწავლობთ საკუთარ შეცდომებზე მაინც?!

**P.S.** საკუთარ მწარე გამოცდილებაზე, შეცდომებზე სწავლის აუცილებლობა საზოგადოებაზე ბევრად უფრო მეტად ხელისუფლებას ეხება, რომელმაც ამ კვირაში განვითარებული მოვლენების სახით, მგონია, სერიოზული გამაფრთხილებელი შეტყობინება მიიღო. შეტყობინება, რომლის გათვალისწინება, მასზე დაფიქრება როგორც ხელისუფლების, ისე მთელი საქართველოს ინტერესებშია.

# ცოტ-ცოტა ყველაფერზე. SMS-ები

■ ერთ-ერთი ყვითელი ჟურნალის სატელევიზიო ანონსიდან გავიგე, რომ თბილისის მერს კობა დავითაშვილის შვილი "მაკდონალდსში" წაუყვანია. დავითაშვილის სიმსუქნით და მისი ძალიან საყვარელი შვილის სიგამხდრით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, კობა ბავშვს საჭმელს უჭამს ხოლმე. ხოდა, კეთილმა, გულთბილმა მერმა მამისგან ფარულად ბავშვი გემრიელად გამოკვება. ფარულად კი იმიტომ, რომ დავითაშვილს რომ გაეგო, ჭიაბერაშვილს "მაკდონალდსში" თავად წააყვანინებდა თავს. მე მგონი, ახლაც ამისთვის იბრძვის, ოპოზიციონერობს, სინამდვილეში კი, უბრალოდ, "მაკდონალდსში" უნდა.

■ აჭარაში საზაფხულო სეზონისთვის ემზადებიან და სარფის, კვარიათის, გონიოს ადგილობრივ მოსახლეობას ზღვისპირა ზოლის ათვისების უფლება მისცეს. ძალიან კარგი, მაგრამ ეგებ ენახათ მაინც, რას აკეთებენ. ან შეიძლება ნახულობენ, მაგრამ შესაბამისი დაინტერესების ან ანაზღაურების შემდეგ მომენტალურად თვალებს ხუჭავენ.

■ პრეზიდენტის ოჯახში მეორე შვილის გაჩენის პერსპექტივა ძალიან გამიხარდა, თორემ გასკდა თბილისი ჭორაობით. იმედი მაქვს, ოპოზიციონერებსაც გაუხარდათ, თუმცა საჭორაო მოაკლდათ.

■ საგადასახადო სამსახურის თანამშრომლების მიერ აღებული ქრთამის ოდენობისგან შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. მაგიდაზე დალაგებული ამდენი ფული კინოშიც კი არ მინახავს. მგონია, ამ სანახაობისგან ჩემზე არანაკლებად შოკში თვით მერაბიშვილიც კი იყო. ეტყობა, ამდენი ფული ერთად მაგასაც არ უნახავს.

■ IST-ზე ინტელექტუალურად სტერილური გოგონები, მგონი, ჩემს ჯინაზე, ყოველდღე მატულობენ და მატულობენ. რამე განსაკუთრებული ინკუბატორი ხომ არ არსებობს ასეთების გამოსაჩეკად? აბა, სად პოულობენ?!

■ შალვა რამიშვილს თავისი ტელედებატებისთვის როგორი "თავმდაბლური" ახალი ქუდი გაუკეთებია! ვერაფერს იტყვი! მოსწონს თავისი თავი და რა ქნას.

■ ჟურნალისტების ამღერების რა ახალი პროექტი მოიგონეს? ქართველ ჟურნალისტებს სიმღერალა აკლდათ! ალბათ, თვლიან, რომ ერთი პროფესია იმდენად ძირფესვიანად აითვისეს, რომ ახლა მომღერლობაც უნდა სცადონ, სიმღერის დროც დაუდგათ. აი, თუ რას ეძახიან სიმღერას, ეს საინტერესოა. ამ ბოლო დროის ქართულ ესტრადას თუ გადავხედავთ, მგონია, სიტყვებმა "სიმღერა", "მღერის", "მუსიკალურია", საკუთარი მნიშვნელობა დაკარგა და ახლა რაღაცა სხვა რამეს ნიშნავს.

■ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩაღებული მშენებლობები არანაირ ნორმებში არ ჯდება და სხვადასხვა კითხვას ბადებს. ისეთი გრძნობაა, თითქოს ქალაქის ეს შუაგული რაღაც ექსპერიმენტულ ტერიტორიად გამოცხადდა. ექსპერიმენტები შეიძლება კარგია, მაგრამ არა თბილისის ხარჯზე.

■ ამ დღეებში ჩემი სახლის მიმდებარე პატარა ეზოში ხმაურიანი ინციდენტი მოხდა. მეზობლებმა პატრული გამოიძახეს. პატრული ეზოებში აიბნა და მისამართს ვერ აგნებდა. ჩემდა გასაოცრად, საკუთარი თავი იმაზე დავიჭირე, რომ მონდომებულად ვცდილობდი, საჭირო ეზოსთან მისასვლელი გზა ამეხსნა. რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ პოლიციას ოდესმე დავეხმარებოდი.

■ ვაკეში სახლები რომ შეღებეს - ძალიან კარგი, მაგრამ ქუჩაში გამომავალი სადარბაზოების, კიბის უჯრედების ჩალეწილი, წლობით გაუწმენდავი მინები ვის დაუტოვეს? ახალშეღებილი ფასადების ფონზე სადარბაზოები კიდევ უფრო უბადრუკად გამოჩნდა. მინების ჩასმას, გამოცვლას რაღა უნდოდა?! თუ აკეთებენ, ბარემ მარილიც მოაყარონ და ბოლომდე გააკეთონ. ამ სახლებს როდისღა მიუბრუნდებიან?

■ შეიძლება მეჩვენება, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქოსდა ნარკომანიასთან გაძლიერებული ბრძოლის შედეგად უფრო ჰეროინს "დასდევენ". სუბუტექსი კი იგნორირებული აქვთ. არადა, მთელი თბილისის ახალგაზრდები სწორედ სუბუტექსზე "ზიან". ეგება მასთან ბრძოლა, უბრალოდ, ხელს არ აძლევთ?!

■ თბილისში ჯაზ-ფესტივალის გახსნა ძალიან მიხარია, თუმცა, ბილეთების ღირებულებიდან გამომდინარე, არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველა კონცერტზე დასწრება მოვახერხო.

■ უშიშროების ყოფილ თანამშრომელ ლაშა ნაცვლიშვილს მამათი, ეტყობა, მართლაც ძალიან ენატრება და ვერაფრით მალავს. ეგება წაიყვანოს ვინმემ. იქ კგბ-ს პატარა ფილიალი გაუხსნას და საძველბიჭოდ დატოვოს. მადლია, თორემ თბილისში სულ გაილახება. ცოდოა.

■ როგორ მაინტერესებს, ლევან ბერძენიშვილს დღეს შალვა ნათელაშვილის ჯერა? თუმცა, ხომ არსებობს გამოთქმა - "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს".

■ პარლამენტში ამხელა ამბავი რომ ხდება, ძალიან მაინტერესებს, პარლამენტის თავმჯდომარე ამ დროს სად არის? ერთადერთი გამართლება იქნება, თუ ქუთაისშია, მაგრამ რაღაცა ეჭვი მეპარება.

*მოკლედ*

## ვიერი თავისუფალი აგენტი გახდა

"როიტერსის" ცნობით, ინგლისის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა და "ინტერის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაწყვიტეს. ამგვარად, ფეხბურთელი, რომლის შეთანხმება 2006 წლის ივნისამდე იყო ძალაში, თავისუფალი აგენტი გახდა. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ "ინტერი" მადლობას უხდის ვიერის კლუბის ისტორიაში შეტანილი წვლილისთვის. თავის მხრივ, ვიერიმაც გადაუხადა მადლობა კლუბის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს, რომლებიც მხარში ედგნენ ექვსი წლის განმავლობაში.

შეგახსენებთ, რომ ვიერი "ინტერში" 1999 წელს "ლაციოდან" გადავიდა, თუმცა, გასულ სეზონში ის უფრო დიდხანს იყო სათადარიგოთა სკამზე, ვიდრე ფეხბურთის მოედანზე. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მთავარ მწვრთნელს რობერტო მანჩინის ხშირად ვიერის ნაცვლად სათამაშოდ ბრაზილიელი ადრიანო და ნიგერიელი ობაფემი მარტინი გაჰყავდა.

## "რომას" მცველი "ევერტონში" გადაბარგდება

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისური კლუბი "ევერტონი" აპირებს, იჯარის წესით აიყვანოს "რომას" მცველი მატეო ფერარი. ფეხბურთელმა უკვე პირადად შეათანხმა ხუთწლიანი კონტარქტის პირობები. შეთანხმების თანახმად, იგი წელიწადში 1,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს. პირველ წელს მცველი "ევერტონში" იჯარის წესით ითამაშებს. თუმცა, ინგლისელებსა და იტალიელებს შორის დადებული შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, "ევერტონს" ფერარის გამოსყიდვა შეუძლია.

## ვალტერ სამუელი მომავალ სეზონზეც "რეალში" დარჩება

მადრიდის "რეალის" ვიცე-პრეზიდენტმა და სპორტულმა დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა, რომ ვალტერ სამუელი მომავალ სეზონზეც დარჩება მადრიდის გუნდში. ამით წერტილი დაუსვა გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ იგი "სამეფო კლუბიდან" წასვლას აპირებდა: "სამუელის შესახებ ხმებს ავრცელებდნენ. მესმის, რომ ამის გამო თავს უხერხულად გრძნობდა. ეს ბუნებრივიცაა. მე უკვე ვესაუბრე სამუელსა და მის წარმომადგენელს. შევთანხმდით, რომ ის "რეალში" ვარჯიშს ძველებურად გააგრძელებს", - განაცხადა ბუტრაგენიომ. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასასრულს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვალტერ სამუელი "რეალიდან" "ინტერში" გადასვლას აპირებდა.

## "ბარსას" სურს, რონალდინიო 2014 წლამდე შეინარჩუნოს

"ბარსელონას" ხელმძღვანელობა აპირებს, თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ბრაზილიელი რონალდინიო 2014 წლამდე შეინარჩუნოს. გამოცემა Mundo Deportivo-ს ცნობით, კატალონიელებმა ფეხბურთელს კონტრაქტის ვადის გაგრძელება შესთავაზეს. თუ რონალდინიო ამ წინადადებას მიიღებს, მაშინ კონტრაქტის დასრულების დროს (2014 წელს) იგი 34 წლის იქნება. გამოცემის ვარაუდით, რონალდინიო ამ წლების განმავლობაში 126 მილიონ ევროს მიიღებს.

*ფეხბურთი*

# რამდენი გუნდი ჯობს?

მიხეილ აბაიშვილი

ზუსტად ერთ თვეში, 30 ივლისს, სტარტს აიღებს საქართველოს მე-17 ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ჯერჯერობით ჩემპიონატის მხოლოდ დაწყების თარიღი არის ცნობილი. სხვა ყველაფერი, კერძოდ, კალენდარი, მონაწილე გუნდების რაოდენობა და ვინაობა გარკვეული არ არის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის თაოსნობით და საქართველოს ფეხბურთის პროფესიულ ლიგას ფორსმაჟორულ ვითარებაში, სულ 2-3 კვირაში მოუწევს მომავალი ჩემპიონატის რეგლამენტისა და მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრა.



ნოდარ ახალკაცი პროფესიულ ლიგასთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის ახალ ფორმატზე მუშაობს.

გოჩიტა ბახაძის ფოტო

სწორედ ამ მიზნით გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელთა სამუშაო თათბირი, რომელზეც რამდენიმე საკითხი გადაწყდა. როგორც შარშან, წელსაც ამ უწყებათა სპეციალისტებისგან დაკომპლექტდება ერთობლივი კომისია, რომელიც მოაწყობს უმაღლეს ლიგაში თამაშზე პრეტენზიის მქონე კლუბების ინსპექტირებას. მოგეხსენებათ, ძველი დებულების თანახმად, უძლიერესთა 10-გუნდიანი კომპანია უნდა დაეტოვებინა ბოლო ორ ადგილზე გასულ გუნდს - ფოთის "კოლხეთს" და გორის "დილას", ხოლო დარჩენილ რვა კლუბს უნდა დამატებოდა პირველი დივიზიონიდან აღზევებული "ბორჯომი" და "ამერი". ახალი პროექტი მიზნად ისახავს უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის თექვსმეტამდე გაზრდას. ამას ფედერაცია სპორტული და რეგიონული პრინციპის შეხამებით გეგმავს. თუმცა, განსაზღვრება "რეგიონული" სრულად ვერ ასახავს იდეის არსს. სფფ-ს პრეზიდენტის ინიციატივა პოლიტიკურ ელფერსაც იძენს - ახალკაცის მიზანია, უმაღლეს ლიგაში ცხინვალისა და აფხაზეთის გუნდები მოხვდნენ.

ძნელი სათქმელია, რამდენად რეალური და განხორციელებადია ეს იდეა. პირველ რიგში, მთავარი პრობლემა საქართველოს კლუბების ფინანსური და ინფრასტრუქტურული განვითარების დაბალი დონეა. ფინანსური პრობლემების გამო გასულ სეზონში რამდენიმე გუნდმა ძლივს მიაღწია ჩემპიონატის ფინიშამდე. ერთობლივი კომისიაც, რომელიც სფფ-სა და პროფლიგის სპეციალისტებისგან დაკომპლექტდა, სწორედ ამ საკითხის გარკვევას შეეცდება. თან, შემოწმებას გაივლიან არა მხოლოდ უმაღლეს ლიგაში მოხვედრის პრეტენდენტი კლუბები, არამედ ისინიც, რომლებსაც სპორტული პრინციპით უკვე მოპოვებული აქვთ ეს პატივი. იმისთვის, რომ გუნდებმა უმაღლეს ლიგაში ითამაშონ, ერთობლივი კომისიის მიერ დადგენილ კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ეს კრიტერიუმებია: საფინანსო გარანტიები, შეძლებისდაგვარად მისაღები ინფრასტრუქტურა (სათამაშო სტადიონი, საწვრთნელი ბაზა), პროფესიონალი კადრები. კომისია 15 ივლისამდე შეისწავლის თითოეულ კლუბს და შექმნის მონაცემთა ბაზას, რაზე დაყრდნობითაც პროფესიული საფეხბურთო ლიგის კონფერენცია გაიმათება. ეს 17-18 ივლისს მოხდება, რომლის დროსაც პფლ გადაწყვეტს, რამდენგუნდიანი ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობა არსებობს. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშეს პაატა ბურჯალიანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების შედეგები დამაკმაყოფილებელი არ იქნება და თექვსმეტივე პრეტენდენტი კლუბი მზად არ იქნება უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ, სფფ და პროფლიგა უმაღლეს ლიგაში იმდენ გუნდს დაუშვებს, რამდენიც არსებულ რეალობაში ოპტიმალური იქნება. ამისთვის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებულია. კერძოდ, შემუშავებულია 10, 12, 14 და 16-გუნდიანი ჩემპიონატების კალენდარი და რეგლამენტი. მას შემდეგ, რაც პროფლიგის კონფერენცია განსაზღვრავს გუნდების ოპტიმალურ რაოდენობას, საკითხი განსახილველად და დასამტკიცებლად უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს, სფფ-ს აღმასრულებელ კომიტეტს წარედგინება. აღმასკომი 23 ივლისს შეიკრიბება და ამ საკითხზე თავის საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს.

*ინფოთეკა*

### "იუვე" მზადაა, ტრეზეგე "ჩელსის" დაუთმოს, ოღონდ...

იტალიური კლუბი "იუვენტუსი" მზადაა, თავისი თავდამსხმელი დევიდ ტრეზეგე გაყიდოს. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას "იუვეს" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ არ მიიღო "ჩელსის" წინადადება, რომელიც ფრანგი ფეხბურთელის გაყიდვას 30 მილიონ გირვანქა სტერლინგად ითვალისწინებდა. თუმცა, იტალიური პრესის ცნობით, დირექტორთა საბჭოსთან მოთათბირების შემდეგ "იუვემ" გადაწყვეტილება შეცვალა. ახლა იტალიის ჩემპიონი გუნდი მზადაა, ტრეზეგეს გამოემშვიდობოს, ოღონდ 40 მილიონი ევროს სანაცვლოდ.

### "სარაგოსა" ფიქრობს: ლოპესი თუ პანდიანი?

ესპანური კლუბის "სარაგოსას" ხელმძღვანელობა "ლაციოს" თავდამსხმელის კლაუდიო ლოპესის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. არგენტინელ ფეხბურთელს ესპანელები სრულიად უსასყიდლოდ მიიღებენ. შეგახსენებთ, გასული სეზონი ლოპესმა იჯარით ითამაშა მექსიკურ კლუბ "ამერიკაში". აღსანიშნავია, რომ "სარაგოსა" არ ჩქარობს ამ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას, რადგან ხელმძღვანელობა მოცემულ მომენტში ვალტერ პანდიანის შეძენაზეც ფიქრობს. ამ ფეხბურთელისთვის "დეპორტივო" 2,7 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს. თუ "სარაგოსა" არჩევანს ლოპესზე შეაჩერებს, მაშინ პანდიანი, სავარაუდოდ, "ბირმინგემში" გადავა.

### ფიფამ "რომა" დასაჯა

გუშინ ცნობილი გახდა ფიფას მიერ 23 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, "რომას" ერთი წლის განმავლობაში აეკრძალა ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა.

Le Figaro-ს ცნობით, ფიფას გადაწყვეტილება "რომას" არაკორექტული საქციელის შედეგია. სასჯელი რომის კლუბმა ფრანგული "ოსერის" ფეხბურთელის ფილიპ მექსესის გადასვლასთან დაკავშირებით გამოიტანეს. იტალიურმა კლუბმა ისე დაიწყო ფეხბურთელთან მოლაპარაკება, რომ "ოსერის" ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ჩააყენა.

"რომას" ადვოკატები ფიფას გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), ხელმეორედ აცხადებს ღია ტენდერს მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.135-კმ.139 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა: - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 18 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 19 ივლისის 1700 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო 79 კვტ. სიმძლავრით | 1 |
| 2 | ასფალტდამგები | 1 |
| 3 | ავტოგუდრონატორი | 1 |
| 4 | ამწე ტვირთამწეობით 25 ტ. | 1 |
| 5 | კომპრესორი მწარმოებლობით 9-10 მ³/წთ | 1 |
| 6 | სანგრევი ჩაქუჩები | 2 |
| 7 | სატკეპნი პნევმატური 25 ტ | 1 |
| 8 | სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ | 1 |
| 9 | ვიბრაციული სატკეპნი | 1 |
| 10 | ხელითსატკეპნი მასით 20 ტ | 1 |
| 11 | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.5 მ³ | 1 |
| 12 | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0.65 მ³ | 1 |
| 13 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 14 | ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 2 |
| 15 | ბორტიანი ავტომანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 2 |
| 16 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 8 |
| 17 | ამწე ტვირთამწეობით 16 ტ. | 1 |
| 18 | ბულდოზერი სიმძლავრით 96 კვტ. | 1 |
| 19 | ნიშანსადები მანქანა | 1 |
| 20 | საბურღ-ამწე მანქანა | 1 |
| 21 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 22 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 23 | ელექტროგენერატორი | 1 |
| 24 | ბიტუმის ქვაბი | 1 |
| 25 | ღორღის გამანაწილებელი | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 25 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 26 ივლისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# შუახევის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს დაბა შუახევის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი: დაბა შუახევის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაფინანსების წყარო: შუახევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი.

სამუშაოები დაიყოფა ლოტებად.

დაინტერესებულმა იპრებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან).

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ-ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთათვის:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონ-ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე შესაბამისი ჩამონათვალით (ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ასლი).

- ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების განხორციელების შესახებ.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს, მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის 18 ივლისიდან 20 ივლისის 17სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა №30, შუახევის რაიონის გამგეობა.

დაგვიანებით შემოსულ განცხადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 22 ივლისს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით, მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2005 წლის 25 ივლის 17 საათამდე მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა №30, შუახევის რაიონის გამგეობა.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე:

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ტელეფფონზე 6-00-15, 893-31-54-10

**სატენდერო კომისია**

# დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 1 ივლისის, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის 79-ე კმ-ზე მდინარე ცივზე ახალი სახიდე გადასავლელის სამუშაოების ღია ტენდერის საშუალებით შესყიდვას**

**4.1.3. პუნქტს დაემატოს "ლიცენზია ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებაზე"**

**სს "თიბისი ბანკის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ "თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ მამუკა ხაზარაძეს მამის,**

## მამია ხაზარაძის

**გარდაცვალების გამო**

**საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა" თანაგრძნობას უცხადებს მამუკა ხაზარაძეს მამის**

## მამია ხაზარაძის

**გარდაცვალების გამო**

**ქ.ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა გაცნობებთ, რომ გაზეთ "24 საათის" 2005 წლის 17 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში, ქ.ქუთაისში გზების სავალი ნაწილის შეკეთებაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში ქუჩების ჩამონათვალიდან ამოღებულია ახალგაზრდობის გამზირის გზის სავალი ნაწილის შეკეთებისათვის საჭირო ჩასატარებელი სამუშაოები. აღნიშნულ ქუჩაზე სამუშაოები დაფინანსებული და შესრულებული იქნება საგზაო დეპარტამენტის მიერ.**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი გაბიძაშვილი, ავთანდილ როხვაძე, მისამართზე ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3 მე-4 სართ. ოთახი N429; N433; ტელ: (8231) 7 31 73; 4 38 96; ქ.ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.**

**სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 100 (ასი) სამხედრო მოსამსახურის სამჯერადი კვებით უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

დაფინანსების წყარო - გრანტის სახით მიღებული სახსრები.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. ტენდერში გამარჯვებულის მიერ მომსახურება უნდა განხორციელდეს 2005 წლის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კვების ნორმების შესაბამისად, შემდეგ მისამართზე: ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვარში.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე მ.წ. 18 ივლისიდან 19 ივლისის 17.00 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ, საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით მ.წ. 19 ივლისს.

8. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი.

9. სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე, პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება მ.წ. 25 ივლისიდან 26 ივლისის 17.00 საათამდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისიაში.

10. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6. ტ: 92-33-21, საკონტაქტო პირი: დავით მეგრელიძე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით სატენდერო კომისია*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, "ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მხადრაჭერა სამცხე ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" პროექტისათვის მოპოვებული გრანტის ფარგლებში, ქართული ენის მასწავლებელთა ინსტრუქტორებისათვის სასტუმრო მომსახურების მიზნით გამოცხადებულ დახურულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ვილა-პარკი", რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

*01.07..2005 წ.*

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური, მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა. აცხადებს ღია ტენდერს მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საქონლის შესყიდვაზე შემდეგ ელემენტებზე:

- ჰემოდიალიზის 12 000 სეანსის უზრუნველყოფა სადიალიზე საშუალებებით. (ადგილი- თბილისი) ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

- პერიტონიალური დიალიზის 5 400 სეანსის უზრუნველყოფა სადიალიზე საშუალებებით. (ადგილი- თბილისი) ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

მომსახურების შესრულების ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 18 ივლისიდან 28 ივლისის 16 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა, IV სართული, სატენდერო აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად/ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის;

- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

- განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

- ლიცენზიის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული;

- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება);

- წესდების ასლი;

- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება კანონით დადგენილი წესით შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა, III სართული, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი, ტელეფონი: 37-78-09; 37-96-70.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება მოხდება 15 აგვისტოდან 19 აგვისტომდე მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი) რომელიც ირიცხება - მიმღები: ერთიანი არასაგადასახადო (რაიონი) ანგ. N200 122 900.

საქართველოს ეროვნული ბანკი: კოდი 220 101 107.

სახაზინო კოდი - ორგანიზაციებს რაიონული რეგისტრაციის მიხედვით:

ა/ა 300 014 040 (გლდანი-ნაძალადევი):

ა/ა 300 024 040 (დიდუბე-ჩუღურეთი):

ა/ა 300 034 040 (მთაწმინდა-კრწანისი):

ა/ა 300 044 040 (ვაკე-საბურთალო):

ა/ა 300 054 040 (ისან-სამგორი);

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ტექსტში მითითებულ მისამართზე.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე*
*სატენდერო კომისიის აპარატი*

სსიფ — საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ონის რაიონის სოფ. ბარის ელ. ხაზების რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ბარის სათემო კავშირთან "ბარულა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბარულა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელი ბარი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ჯუმბერ ღოთვაძე, სათემო კავშირი "ბარულა"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 5 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელი ბარი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ჯუმბერ ღოთვაძე, სათემო კავშირი "ბარულა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 3 აგვისტო 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

# ევროპულ რეკლამასთან ზიარების სამი დღე

## კავშირი რეკლამას, თავისუფალ მასმედიასა და თავისუფალ აზროვნებას შორის

*"შენი გია ისევ თეთრ პერანგებს იცვამს?", - ჩაგვესმის ყოველ საღამოს, სერიალების გაწყვეტისას, საინფორმაციო გამოშვებების ბლოკებს შორის, საფეხბურთო მატჩების წინ და ასე გრძელდება დაუსრულებლად... არ ვიცი, ამ და სხვა მსგავსი, არაფრით უკეთესი ფრაზების ავტორებისთვის რა დატვირთვა აქვს რეკლამას, მაგრამ ფაქტია, რომ "კაპიტალიზმის ემისარსა" და "გლობალიზაციის მყარ საყრდენს" ხშირად თავისუფალი აზროვნების მნიშვნელოვან გარანტადაც აღიქვამენ. თუმცა, რამდენად უშლის ხელს თავისუფალ აზროვნებას უხარისხო რეკლამა, ესეც ფაქტია.*
*თბილისში "ეპიკას დღეები" კვლავ დაიწყო და სულ რაღაც სამი დღის განმავლობაში თანამედროვე რეკლამისა და მედიაინოვაციების თემატიკაც ჩვენი ყურადღების ზედაპირზე ამოტივტივდა.*

ვერა ნეფარიძე

"ეპიკას დღეები" "ულტრაჯგუფის" ორგანიზატორობით თბილისში მეოთხედ იმართება. კომპანიამ, რომელსაც სარეკლამო საქმიანობასა და სხვა თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაციების სფეროში გარკვეული ამბიციები, მიზნები ამოძრავებს, ექვსი წლის განმავლობაში რამდენიმე მსხვილი პროექტის ამუშავება მოახერხა. ესენია: სატელევიზიო გადაცემა "ულტრა. ვიდეორეკლამის ანთოლოგია" (ავტორი და წამყვანი: მიხო ქოჩაკიძე), რომელიც საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერში გადიოდა და "ეპიკას დღეები თბილისში". 1999, 2000 და 2002 წლებში "ეპიკას დღეებზე" თბილისში ჩამოდიოდნენ ევროპული რეკლამის ოსტატები, აჩვენებდნენ "ეპიკას" რგოლებს, იმართებოდა სემინარები, მასტერკლასები. ერთი სიტყვით, "ეპიკას დღეები" იმის მცდელობაა, რომ ჩვენმა მაყურებელმაც გაიცნოს ევროპულ რეკლამასა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ტენდენციები. ამ ეფექტის მისაღწევად კი "ულტრაჯგუფის" გზა "ეპიკაზე", როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ევროპულ სარეკლამო ფესტივალზე გადის.

1986 წელს პარიზში დაფუძნებული "ეპიკას" დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად სხვადასხვა ქალაქში იმართება. ფესტივალის გამარჯვებულთა მთავარი პრიზი "ეპიკას პირამიდაა"; ყველა გამარჯვებული და ფინალისტი ქვეყნდება ფესტივალის კატალოგში "ეპიკას წიგნი" (რომლის ერთ-ერთი გამომცემელიც მარკ ტანგეიტია); ამას გარდა, პრიზით "ეპიკა დორ" ჯილდოვდება ერთადერთი სარეკლამო ნამუშევარი და იღებს ტიტულს - "საუკეთესო ევროპაში", ხოლო ჯილდოთი "სთოუნ" აღინიშნება საუკეთესო ნამუშევარი ევროპულ სარეკლამო ფოტოგრაფიაში. თუ რა კრიტერიუმით გამოარჩევენ ნამუშევრებს ფესტივალზე, ამის შესახებ გუშინ "ეპიკას დღეების" ექსპერტმა, "ეპიკას" წარმომადგენელმა მარკ ტანგეიტმაც ისაუბრა: "პირველ რიგში, ფასდება რეკლამის მხატვრული იდეის ორიგინალობა და შესრულების ხარისხი. ხშირად იდეა კარგია, მაგრამ ისეთი შესრულებულია, არაფრად ღირს". "ეპიკას დღეების" სტუმარმა, მწერალმა, ჟურნალისტმა და რეჟისორმა მარკ ტანგეიტმა, რომელიც თბილისს "ეპიკას" პრეზიდენტის (ენდრიუ როლინგსის) ნაცვლად ეწვია, მოკლედ რეკლამის მნიშვნელობაზეც თქვა: "ხშირად რეკლამას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ კაპიტალიზმის ემისარია, რომ გლობალიზაციის მყარი ბურჯია, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ რეკლამა აფინანსებს თავისუფალ მასმედიას; ის რომ არა, ჩვენ მთლიანად დამოკიდებული ვიქნებოდით საკუთარ მთავრობებზე, რაც მოსპობდა თავისუფალ აზროვნებას. ამას გარდა, რეკლამა ხელს უწყობს შემოქმედებით პროცესსაც", - ინგლისელი სტუმრის ბოლო ფრაზის ნამდვილი გამართლება იყო ის ნამუშევრები, რაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაჯილდოვდა "ეპიკაზე"; ნამუშევრები, რომლებიც გუშინ თავად ტანგეიტმა წარმოადგინა.



მარკ ტანგეიტი.

"ეპიკას დღეებს" "თბილისი მერიოტი" მასპინძლობს. პირველ დღეს ღონისძიების მეტად მცირერიცხოვანმა საზოგადოებამ 2003-2004 წლების საუკეთესო ბეჭდური და ვიდეონამუშევრები იხილა; დღეს დილიდან დაგეგმილია მარკ ტანგეიტის სემინარი: "ახალი მედია "ეპიკას" რაკურსით"; ნაჩვენები იქნება სოციალური რეკლამის ვიდეო და ბეჭდური ნამუშევრები; ასევე ავტომობილების კატეგორიაში გამორჩეული ვიდეო და ბეჭდური სარეკლამო ნამუშევრები. მესამე დღეს, კვირას კი ალბათ მეტად სახალისო და საინტერესო (გარკვეულწილად, მნიშვნელოვანიც) მრგვალი მაგიდაა დაგეგმილი; მიმოიხილავენ ქართულ სარეკლამო სივრცეს; აქედან საუკეთესოებს (თუკი ასეთად მიიჩნია რომელიმე ნამუშევარი) ტანგეიტი აარჩევს; ქართული ბეჭდვითი სარეკლამო ნამუშევრების ერთად ხილვა კვირას გალერეა "ჰობიში" იქნება შესაძლებელი.


# სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ... STM (ლონდონი) ...
University of sunderland ...
UEL ...
university of Wales 'Newport' ...
2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc
£3950

BA (Hons) ... £ 5950

... £ 1000 ...

ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:

**98-57-81**


# განსხვავებული სიზნელე სინათლისგან

## 27-ე საავტორო სკოლა ნარკოტიკებისგან თავისუფალი საქართველოსთვის

*გუშინ თბილისის მუზეუმ "ქარვასლას" საგამოფენო სივრცე სკოლის მოსწავლეებმა აითვისეს. საკუთარი ნახატების, ბატიკის, თოჯინებისა თუ ფერწერული ნამუშევრების ფონზე მღეროდნენ, ქსოვდნენ ფარდაგებს, იმერულ დაზგაზე ამოჰყავდათ ქოთნები. ასე აღნიშნეს მათ 27-ე საავტორო სკოლის მეათე წლისთავი; ხოლო აქცია "განსხვავე სიბნელე სინათლისგან" ნარკოტიკებისგან თავისუფალ საქართველოს მიუძღვნეს.*

ის, რაც "ქარვასლაში" აჩვენეს მოსწავლეებმა, მათი სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. მიხეილ მინდაძის საავტორო პროგრამა - "ისტორია შემოსული ყოფაში", 27-ე საავტორო სკოლაში 1994 წლიდან ხორციელდება. ბავშვები პირველივე კლასიდან ეცნობიან საქართველოს კუთხეებს, სწავლობენ მისთვის დამახასიათებელი ყოფის ისტორიას, თავისებურებებს; "ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ თანამედროვე მოქალაქე, რომელმაც კარგად იცის თავისი ყოფის ისტორია და თან ძალიან უყვარს", - ამბობს სკოლის დირექტორი მანანა ცინცაძე. ამიტომაც ტრადიციული ხალხური რეწვა, ფოლკლორი, ეთნოლოგია ინტეგრირებულ სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ბავშვებმა იციან ფარდაგების ქსოვა თუ თიხასთან მუშაობა - ეს მათ გუშინდელ აქციაზეც აჩვენეს.


ბავშვები და ქველმოქმედება.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-აქციას კონკრეტული მიზანიც ჰქონდა: შემოსული თანხით ისინი დააარსებენ მოზარდთა კლუბს "ნარკოტიკებისგან თავისუფალ საქართველოს". სკოლის დირექტორის თქმით, ეს თანხა მოხმარდება მათი ოთახის გარემონტებას: "ნარკომანებს პირადად ვერ შევეხებით, ჯობს, მის პრევენციაზე ვიმუშაოთ. რამდენიმე ბავშვს თუ გადავარჩენთ, ესეც კარგი იქნება". თემის ირგვლივ სკოლაში ტრენინგი 16 მოსწავლემ გაიარა. პედაგოგების სურვილია, შეიქმნას არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც ბავშვებს ასწავლიან პროექტების წერას. "ჩვენს მოსწავლეებს ვასწავლით, რომ მოქალაქეები ვართ და გვაქვს უფლებები და მოვალეობები. ბავშვებს ვეუბნებით, რომ შეუძლიათ შეცვალონ სამყარო მათ ირგვლივ, მაგრამ ამისთვის ბევრი რამაა საჭირო".

გამოფენა-გაყიდვამ "ქარვასლაში" ბავშვების ჟრიამულში ჩაიარა. სტუმრებს საკუთარი ხელოვნება 27-ე საავტორო სკოლის მოსწავლეთა ფოლკლორულმა გუნდმაც (სადაც ანსამბლ "გეორგიკას" წევრები მუშაობენ ბავშვებთან) აჩვენა.





# ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------------------------

მისამართი ------------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------------------------

სკოლა ------------------------------------------------

კლასი ------------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოაგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა





გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა